# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 5 ივლისი 2007 №152 (3075) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ბოლო ვადაა

## რას ეტყვიან კლუბები პროფლიგას და რას ეტყვის პროფლიგა კლუბებს?



ბადრი კეთილაძის ფოტო

## რა შანსი დაკარგა ბოლნისის სიონმა

ფოლკსვაგენმა კლუბის პატრონობა საბოლოოდ იუარა



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ცხელი ზაფხულის კიდევ ერთი ცხელი დღე

ფერნანდო ტორესი ლივერპულელია!




AFP





ამერელთაგან ყველაზე რეალური მომენტი რევაზ გოცირიძეს ჰქონდა

# ამერმა ორი გოლი აქეთ გაიტანა

## რატომ დაცხა ლეტნაზე?

**სპარტა 3:0 ამერი**

1:0 ჰორვატი (5), 2:0 კისელი (15), 3:0 ჰოლენდა (17)

**სპარტა:** გრიგარი, რეპკა, ჰორვატი, სლეპიჩკა (ჰოლენდა 68), კლადრუბსკი, ჰოლენდა, კისელი, პოსპეხი, კადლეცი, ჰუშეკი, მატუშოვიჩი.

შეცვლაზე შევიდნენ: ზლამალი, პეტრჟელა, ზაბავნიკი, რეზეკი, მარეში, სილვესტრი, ყრშაიევიჩი, ბირო

**მწვრთნელი:** მიხალ ბილეკი

**ამერი:** ქვაჩახია, კობაური (კაკაშვილი 65), ჩიკვილაძე (მჭედლიშვილი 85), დავითნიძე, დიდავა (ელბაქიძე 62), დობროვოლსკი (მესხი 78), დეკანოსიძე (ბოლქვაძე 46), ჯელაძე (შალამბერიძე 66), დოლიძე (ა. ალავიძე 61), დავითაშვილი (ტატანაშვილი 61), რ. გოცირიძე (ცხადაძე 85)

**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** მესხი (83)

**3:0 АО,** ასეთი ანგარიშით დამთავრდა ჩეხეთის ჩემპიონისა და საქართველოს თასის მფლობელის შეხვედრა.

ერთი შეხედვით, ანგარიში მოულოდნელია, რას, რას და, „ამერისგან“ ასეთ წაგებას ნამდვილად არ ველოდით, თუმცა მოდით, მატჩის მიმდინარეობას მივყვეთ...

2000-მდე ქომაგი დაესწრო „ლეტნაზე“ გამართულ ამ თამაშს და ამათ შორის რამდენიმე ქართველიც იყო — პრაღაში მცხოვრები ქართველები ეროვნული დროშების ფრიალით და შეძახილებით ამხნევებდნენ ამერელებს.

მატჩი მაღალ ტემპში დაიწყო, ბურთი მასპინძლებს უფრო მეტხანს ჰქონდათ, თუმცა სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ. იტყვით, სახიფათო მომენტი როგორ არ შეუქმნიათ, როცა მე-15 წუთზე ანგარიში უკვე 0:2 იყო, მაგრამ ეს ორი გოლი ჩეხებმა კი არა, ამერელებმა უფრო გაიტანეს, ოღონდ საკუთარ კარში.

მე-5 წუთი იყო, საფრთხე არსაიდან ჩანდა, ბურთი ქართველებს ჰქონდათ და შეტევის წამოწყებას აპირებდნენ, როცა საკუთარ ნახევარზე გათამაშებისას გივი დიდავამ არაზუსტად გადააწოდა გიორგი დავითნიძეს, სპარტელი ჰორვატიც იქვე გაჩნდა, ბურთი ჩაჭრა და 1:0.

ასეთი ბავშვური შეცდომის შემდეგ გაშვებულმა გოლმა „ამერი“ დააბნია და სანამ გამოფხიზლდებოდა, კიდევ ერთი ბურთი გაუშვა, ისიც უხეშ შეცდომას მოჰყვა — ბურთი იქ და ისე დაიკარგა, სადაც და როგორც არ იკარგება ხოლმე... მოკლედ, კისელმა ეს ლაფსუსიც არ შეარჩინა სტუმრებს.

და მესამეც: მე-17 წუთზე ჩეხებმა ჯარიმიდან ჩააწოდეს და ჰოლენდამ თავით შეაგდო.

ამის შემდეგ „ამერი“ გონს მოვიდა, ბურთი დაიჭირა და მოედნის ცენტრისკენაც აიწია. „სპარტას“ უკვე აღარ ჰქონდა იმხელა უპირატესობა და გიორგი ჩიხრაძის გუნდმაც ნელ-ნელა დაალაგა თამაში.

შესვენებამდე გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს: ჯერ გიორგი დეკანოსიძემ ვერ დაარტყა კარგად ხელსაყრელი პოზიციიდან, მერე კი ზურაბ ქვაჩახიამ აუღო სპარტელებს ახლოდან დარტყმული.

მეორე ტაიმში მოედანზე სულ სხვა „ამერი“ გამოვიდა. თბილისელებმა მეტოქეს ბურთი აართვეს და საჯარიმოსაც უფრო ხშირად სტუმრობდნენ. ერთ-ერთი პირველი ხეირიანი შეტევა კი, როგორ არ დასრულდა გოლით, ძალიან გაუგებარია — არჩილ ალავიძის ჩაწოდებული ბურთი მეკარეს გადასცდა და რევაზ გოცირიძემ სამი-ოთხი მეტრიდან ვერ დაუმიზნა ცარიელ კარს...

ამერელებს გატანა ამის შემდეგაც შეეძლოთ — დავით ბოლქვაძის უძლიერესად დარტყმული კარში მცველმა არ შეუშვა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილ სულიკო დავითაშვილს ზლამალმა აჯობა, კობა შალამბერიძის უსწრაფესი კონტრშეტევა უზუსტო ჩაწოდებით დასრულდა, ბაჩანა ცხადაძემ კარს ვეღარ დაუმიზნა...

მოკლედ, „ამერს“ საკმარისი რაოდენობის მომენტი ჰქონდა, თუმცა ვერ გამოიყენა და საბოლოოდ 0:3 „სპარტასთან“.

**გიორგი დარჯანია პრაღიდან**

# რუსთავის ოლიმპს სერბმაც ჩამოაკითხა

**ურეკში** შეკრებაზე მყოფი საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ გუშინ ზუგდიდში „მგლებს“ გაეჯიბრა ამხანაგურად. მატჩი უგოლოდ დამთავრდა.

უპირატესობას რუსთაველები ფლობდნენ, ბურთი ორჯერ ძელსაც გაარტყეს დავით გიგაურმა და ჯაბა დვალმა, მაგრამ გოლი ვერა და ვერ გაიტანეს.

და ერთიც: „ოლიმპში“ კიდევ ახალი უცხოელი გამოჩნდა — სერბი ნახევარმცველი, 25 წლის ვლადან ჟივკოვიჩი, ვინც ადრე ბელგრადის „პარტიზანში“ თამაშობდა, ბოლოს კი ბერძნულ „იონიკოსში“ იყო.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, ჭიჭველიშვილი, აკუასავა, ნავალოვსკი, გეწაძე, ქებაძე, სილაგაძე, კახელიშვილი, დვალი, ბუხვანვა.*

*შეცვლაზე შევიდნენ: მ. ალავიძე, ორბელაძე, გიგაური, კოშკაძე, მახარაძე, ხუბუა, დვალიშვილი.*



ვლადან ჟივკოვიჩი

*მგლები: დევაძე, ექონია, მაჰაკვარიანი, ფარულავა, კაკაბაძე, ჯოჯუა, კუტალია, ქირია, წურწუმია, კრასოვსკი, რ. ჯიქია.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ივარდავა, ბაკარანძე, ხუხია, ჭკადუა, ჭელია, ლიპარტია, გ. ქირია.*

მორიგ ტესტ-მატჩს „ოლიმპი“ 6 ივლისს თბილისი „ლოკომოტივთან“ ურეკში გამართავს. რაც შეეხება „მგლებს“, 10 ივლისს წავა ურეკში შეკრებაზე და იქ თორმეტი დღით დარჩება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბელხატუვი: ნამატი პერუდან

## ამერის ნახვა 13 ევრო ღირს

**თბილისის** „ამერის“ საუეფასთასო მეტოქე, პოლონეთის „გკს ბელხატუვი“ გუშინ გერმანულ შეკრებაზე გაემგზავრა, მწვრთნელმა ორესტ ლენჩიკმა 22 ფეხბურთელი იახლა.

„ბელხატუვის“ ახალი შენაძენიც ჰყავს: პერუს „ალიანსა ლიმას“ 24 წლის ნახევარმცველი ალეხანდერ გუსტავო სანჩეს რეიესი, რომელიც პირდაპირ გერმანიაში ჩააკითხავს „ბელხატუვს“.

და კიდევ, გაირკვა „ბელხატუვ“ — „ამერზე“ დასასწრები ბილეთების ფასებიც: 25 და 50 პოლონური ზლოტი, რაც, შესაბამისად, 6,7 და 13 ევროს ტოლფასია.

**ილია ნანობაშვილი**

# ასტანას მწვრთნელი შეეცვალა

**ყაზახური** „ასტანას“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა გუნდის თამაშით და რადიკალურ ცვლილებებს ამზადებს.

ყაზახეთის შარშანდელმა ჩემპიონმა მწვრთნელი უკვე შეცვალა — ყაზახური ვებგვერდების ცნობით, „ასტანას“ რუსი სპეციალისტი ალექსანდრ ირხინი გაწვრთნის.

2003 წელს ირხინი უკვე იყო „ასტანას“ თავკაცი, მაგრამ სეზონის ჩამთავრება არ აცალეს და გაათავისუფლეს. ჩემპიონატის დასაწყისში ირხინს ყარაგანდის „შახტიორიც“ ეპატიჟებოდა, თუმც მას ფინელი სპეციალისტი იუჰე მალანენე ამჯობინეს. ირხინი კი, როგორც ხედავთ, ყაზახეთს მაინც დაუბრუნდა.

მწვრთნელის გარდა „ასტანა“ ფეხბურთელებითაც აპირებს გაძლიერებას. კლუბმა უკვე დაიწყო მოლაპარაკებები პერმის „ამკარის“ ხელმძღვანელობასთან და რუსული კლუბიდან ბულგარელი თავდამსხმელის ევგენი იორდანოვის გადაბირებას ცდილობს.

იორდანოვს ბულგარეთისა და რუსეთის გარდა მაკედონიაშიც უთამაშია, მათგან გამოსარჩევი ვარნის „სპარტაკი“ და სოფიის ცსკაა, საიდანაც „ამკარში“ გადავიდა. მიმდინარე სეზონში იორდანოვი პერმული გუნდის ძირითადში იშვიათად ხვდებოდა და პრემიერლიგაში სულ 5 მატჩი ჩაატარა.

აქვე შეგახსენებთ, რომ „ასტანა“ ყარაგანდის „შახტიორიდან“ გიორგი გაბიდაურის, ანდრეი ფოშჩის და სერგეი კოსტიუკის გადაბირებასაც აპირებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დინამომ მოყვარულებიდან ჰაიდუკზე გადაინაცვლა

## ჯეფერსონი გერმანიაში გოლით ჩავიდა

**გუშინ** თბილისის „დინამომ“ გერმანული შეკრების მეოთხე მატჩი ითამაშა.

ამჯერად ჩვენების მეტოქე ხორვატული „ჰაიდუკი“ იყო — „დინამომ“ 2:3 წააგო.

თბილისელებს ამ მოსამზადებელ ეტაპზე ასეთი ძლიერი მეტოქე არ ჰყოლიათ, წინა სამი მატჩი დუშან უპრინის შეგირდებმა ხომ გერმანელ მოყვარულებთან ითამაშეს და ის მატჩები დიდი უპირატესობითაც მოიგეს.

გუშინდელი „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: *ოვონი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო (გ. კაშია 46), თომაშვილი (ლობჟანიძე 80), ხმალაძე, დილმელაშვილი (ოდიკაძე 46), კობახიძე, ფეიქრიშვილი (რაიმონდი 85), ხუციშვილი (ვონჩაროვი 55), აკირემი (ჯეფერსონი 46).*

*ჰაიდუკი: ბალიჩი, ბულიატი, ჟივკოვიჩი, პელაიჩი, კალინიჩი, ჩერნატი, ანდრიჩი, გაბრიჩი, ჰვროვიჩი, გალი, რუკავინა.*

ვთქვათ, რომ ჟივკოვიჩი, ჩერნატი და რუკავინა ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელები არიან. ხოლო ორიოდ დღის წინ „ჰაიდუკმა“ გადაიბირა ლატვიელი ბომბარდირი მარის ვერპაკოვსკისი და ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი მცველი იგორ ტუდორი.

ხორვატების პირველი გოლი 26-ე წუთზე პენალტით სწორედ რუკავინამ გაიტანა, ტაიმის მიწურულს კალინიჩმა გამოიყენა თანაგუნდელების გათამაშებული საჯარიმო და თავისიანები დააწინაურა. შემდეგ უკვე „დინამომ“ და მისმა მორიგმა ახალმა ფეხბურთელმა, 21 წლის ბრაზილიელმა ფორვარდმა ჯეფერსონმა იყოჩაღეს.

77-ე წუთზე ხორვატები ისევ კალინიჩმა დააწინაურა — „დინამოს“ მცველი გულვერდ თომაშვილი დაშავდა და ვიდრე მას მოედნის მიღმა უწამლებდნენ, სპლიტელებმაც ისარგებლეს. მერე კი სხვაობა შეცვლაზე შესულმა რაიმონდ ვოუკოუემ შეამცირა.

„დინამოს“ ამ მატჩში გიორგი მერებაშვილი და ილია სპასოევიჩი ტრავმების გამო აკლდნენ, თუმცა როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა გიგა გვენცაძემ გვითხრა, ისინი გუნდს ხვალ-ზეგ დაუბრუნდებიან.

**კობა ინასარიძე**

### შვედეთი

ალსვენსკა. XII ტური

ჰელსინგბორგი 4:2 ჰამარბი

სუპერეტა. XIII ტური

ბანკეფლო 2:0 სუნდსვალი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XII ტური

ჰონკა 2:0 ტურკუ

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი

IX ტური

ფილკირი 0:0 რეიკიავიკი

კოპავოგური 1:4 ვალიური

აკრანესი 2:1 კეფლავიკი

### ამხანაგური მატჩები

საუდეთი 1:1 ჩრდ. კორეა

მიდტიულანდი 4:1 ჰორსენსი

სენტ გალენი 1:2 შაფჰაუზენი

შატორუ 2:1 სერვეტი

ორჰუსი 1:0 ვიბორგი

ალტახი 2:2 უნტერჰახინგი

რიდი 3:2 სტიაუა

ვადუცი 2:1 ავსტრია (ლ)

ივერდონი 3:2 თუნი

ნორდსიელანდი 1:3 ვაილე

ტიროლი — გროცლინი

გადაიდო

მარსელი 2:1 ლიბურნი

შტურმი 5:4 დებრეცენი

მატერსბურგი 2:2 უიპეშტი

# დღეს ბოლო ვადაა

## რას ეტყვიან კლუბები პროფლიგას და რას ეტყვის პროფლიგა კლუბებს?!

**დღეს** გამოჩნდება, რომელ ქართულ კლუბს რა სიგრძის საბანი აფარია — საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგაში 14 უმაღლესლიგელი კლუბისგან ელიან ფინანსურ გარანტიებს და დღეს ბოლო ვადაა: თითოეულმა გუნდმა, სულ მცირე, 300 ათასი ლარის გარანტია უნდა წარადგინოს.

უკვე მერამდენე ზაფხულია, ჩვენი გუნდების გასაჭირზე ვწერთ. ვინ დათვლის, რამდენი გუნდი გამოვიტირეთ და რამდენს ბოლო წამს მივულოცეთ გადარჩენა...

უკვე შეიძლება ითქვას, რომ 14 გუნდიდან დღეს ყველა ვერ მიიტანს საგარანტიო ფურცელს, ბევრს კი უკვე მიტანილიც აქვს და პროფლიგის მოთხოვნები არ ადარდებს.

მოკლედ, ვნახოთ, ვინ რა ფორმაში იყო გუშინ...

### ამერი

**ვახტანგ ბზიკაძე**, „ამერის" გენერალური მენეჯერი: „ჩვენთვის გარანტიები არ მოუთხოვიათ".

ასეთი მოკლე პასუხი მივიღეთ, თუმცა „ამერის" გარშემო საჭოჭმან-საორჭოფო რა უნდა იყოს: ეს კლუბი საქართველოში სამაგალითოა თავისი ინფრასტრუქტურით.

### ზესტაფონი

ცხადია, „ზესტაფონიც" მშვიდადაა — კლუბის პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, მსგავსი პრობლემა არასოდეს გვქონია და ახლაც ასეაო.

### ლოკომოტივი

თბილისელთა გენერალურმა მენეჯერმა **დიმიტრი ობოლაძემ** გვაცნობა, პროფლიგაში უკვე მიტანილი გვაქვს საგარანტიო ფურცელიო.

### ვიტ ჯორჯია

**მალხაზ კაკაურიძე**, „ვიტ ჯორჯიას" გენერალური მდივანი: „ვიტ ჯორჯიას" მიმართ კატეგორიული მოთხოვნა არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ ვალდებულად ჩავთვალეთ თავი, გარანტიები წარგვედგინა, სამწუხაროდ, დღეს რეალობაა ისეთი, რომ გაჭირვებულ კლუბებს ვერ გავექცევით — ქვეყანაშია ასეთი მდგომარეობა და... პროფლიგაც ამიტომ აკეთებს შეღავათებს, თორემ 300 ათასი ლარი უმაღლესლიგელ კლუბს როგორ არ უნდა ჰქონდეს..."

### მერანი

**დილარ ხაბულიანი**, „მერანის" პრეზიდენტი: „კლუბის აქციონერები საქმის კურსში არიან გარანტიების თაობაზე და წესით, ხვალ წარდგენილი უნდა გვქონდეს ყველაფერი. გადაჭრით მხოლოდ იმას გეტყვით, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშს ვაპირებთ."

### მგლები

**ბესიკ შეროზია**, ზუგდიდის „მგლების" მთავარი მწვრთნელი: „კლუბის დამფუძნებელი ლაშა დარასელია დილით მიემგზავრება თბილისში და შემიძლია გითხრათ, რომ გარანტიის პრობლემა არ გვექნება, „მგლები" უმაღლეს ლიგაში ითამაშებს."

### მესხეთი

კლუბის პრეზიდენტმა **გია მესხელმა** გვითხრა, პროფლიგაში ყველაფერი მიტანილი გვაქვს, „მესხეთში" ყველანაირად დალაგებული სიტუაციააო.

### ბათუმი

**თამაზ ცინარიძე**, გუნდის უფროსი: „ბათუმმა" აუცილებლად უნდა ითამაშოს უმაღლეს ლიგაში და ითამაშებს კიდეც. კლუბს ადგილობრივი ბიზნესმენები მიხედავენ, ეს უკვე გადაწყვეტილია. აყვავებულ ქალაქში ფეხბურთი არ გაიწირება — ასე რომ მოხდეს, სამარცხვინო იქნება, 13 ივლისს კლუბის კრება გაიმართება და იქ ზუსტად გვეცოდინება, ვინ იქნებიან „ბათუმის" სპონსორები."

### ჩიხურა

კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **კახა გელბახიანმა** გადაჭრით გვითხრა, რომ „ჩიხურა" გარანტიებს ვერ წარადგენს...

„სპონსორის ძიებაში ვართ, მაგრამ სასიკეთო ძვრებს ვერ ვხედავთ. რა იქნება მომავალში, არ ვიცი..."

### ბორჯომი

„ბორჯომი" ხშირად იყო „შემჩნეული" ფინანსურ გასაჭირში, თუმც კლუბის დირექტორმა **ვახტანგ მაისურაძემ** გვითხრა, 300 ათასი ლარის პრობლემა არ გვაქვს, უმაღლესში ვითამაშებთო.

### ტორპედო

**პაპუნა მელაძე**, გუნდის უფროსი: „ჯერჯერობით გარკვეული არაფერია, მაგრამ ხვალ საღამომდე რამე უნდა მოვახერხოთ. იმედია, უმაღლეს ლიგაში ვითამაშებთ, მხარის გუბერნატორიც ძალიან დაინტერესებულია „ტორპედოს" ბედით, ანუ სპონსორების მოძიებით."

პარადოქსი თავისთავად და სატირალია, „ტორპედოს" დარი ტრადიციების გუნდი ასეთ დღეში რომ არის.

ხვალ საღამომდე... მოესწრება კი?

### ოლიმპი

საქართველოს ჩემპიონს რა უნდა გასჭირვებოდა, რომ გარანტიები ვერ წარედგინა — „ოლიმპის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **ზურაბ ჯაფარიძემ** გვითხრა, ყველაფერი მოგვარებული გვაქვსო...

„საერთოდ, ღარიბი გუნდები ამინდს აფუჭებენ ჩემპიონატში. მესმის, რომ გაჭირვებაა, მაგრამ რა აზრი აქვს ისეთ თამაშს, სადაც წინასწარ იცი გამარჯვებული."

### სიონი

**ჯემალ ჭიპაშვილი**, კლუბის გენერალური მენეჯერი: „300 ათასი ლარის გარანტია ჩვენთვის პრობლემა არაა, მაგრამ შეიძლებოდა, „სიონი" უფრო უკეთეს დღეში ყოფილიყო. რაიონის გამგეობის ხარჯებზე ვიქნებით — შარშანდელივით პირობები ვერ ექნება გუნდს, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ვითამაშებთ."

### დინამო

„დინამოს" მმართველმა დირექტორმა **გიორგი ტყავაძემ** გვითხრა, მე გერმანიაში ვარ და ამის თაობაზე ვერაფერს გეტყვითო...

იოლი გამოსაცნობია, რომ დინამოელებს პროფლიგასთან რაიმე პრობლემა არ შეექმნებათ...

**ილია ნანობაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნემსაძე

## ბოლნისის სიონი ფოლკსვაგენში ვეღარ ჩაჯდა

### დღეს ახალი მწვრთნელი გამოცხადდება

**რაც** სეზონი დასრულდა, ბოლნისის „სიონი" სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდა. ჯერ იყო და, რაიონის გამგებელი, ამავდროულად „სიონის" პრეზიდენტი გია არევაძე თანამდებობიდან გადადგა, მერე კი „მადნეულმა" იუარა კლუბის პატრონობა. მოკლედ, ქვემოქართლური გუნდი მძიმე დღეში ჩავარდა...

„სიონი" მხოლოდ გამგეობის ხარჯებით იარსებებს, მაგრამ შეიძლებოდა, გუშინ სხვაგვარად დატრიალებულიყო საქმე. კონცერნი „ფოლკსვაგენი", რომლის ქართული წარმომადგენლობის დამფუძნებელი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი გიორგი ნემსაძეა, „სიონის" შესყიდვას აპირებდა.

აქ ისიც ვთქვათ, რომ ნემსაძე სფფ-ის ხმაურიანი არჩევნების შემდეგ ერთხელ ვნახეთ ბოლნისში — „სიონის" საშინაო მატჩს ესწრებოდა.

„ფოლკსვაგენის" წარმომადგენლობა გუშინ ღამემდე აწარმოებდა მოლაპარაკებებს ბოლნისის რაიონის ახალ გამგებელ გია დაუშვილთან და ქვემო ქართლის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილთან კლუბის შეძენის პირობებზე, მაგრამ საბოლოოდ უარი — „ფოლკსვაგენმა" უკან დაიხია.

„სანამ სახელმწიფოსგან გადასახადები არ შემცირდება ფეხბურთში, ანუ შეღავათები არ იქნება, ბიზნესმენები მოერიდებიან ქართულ კლუბებში მოსვლას და ეს არცაა გასაკვირი — ფაქტობრივად, ფულის გადაყრა გამოუვათ, ეს იციან და ამიტომაცაა, რომ ქართულ გუნდებში ასეთი გაჭირვებაა. გუშინ „მადნეულის" ხელმძღვანელ კობა ნაყოფიასგანაც ოფიციალური უარი მივიღეთ „სიონის" პატრონობაზე" — გვითხრა „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

გამგეობით მოსაზრდოვე ქვემოქართლელებს მომავალ სეზონში შარშანდელივით პირობები ვერ ექნებათ, ხოლო რაც შეეხება გუნდის შიდა სამზარეულოს, ბოლნისელები დღეს დაიწყებენ ვარჯიშს და ჭიპაშვილის ცნობით, დღესვე გამოცხადდება ახალი მთავარი მწვრთნელი...

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ეშველება ტორპედოს? საქართველოს კიდევ ერთი ტრადიციული გუნდი უკვდება

**თბილისის „დინამოს“ შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე მეტი ტიტული ქუთაისის „ტორპედოს“ მოუგია, ახლა კი იმერული გუნდი სრულიად უპატრონოდაა მიტოვებული და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა დღეს კლუბებიდან იმ საგარანტიო, წერილებს ელის, რის საფუძველზეც უნდა დარწმუნდეს პროფლიგა, რომ ამ გუნდებს უმაღლესში თამაში შეეძლებათ და ჩემპიონატს შუა გზიდან არ მიატოვებენ. „ტორპედოს“ კი ასეთი საგარანტიო წერილის გაგზავნა არ შეუძლია...**

*გუშინ გუნდის უფროს პაპუნა მელაძეს შევეხმიანეთ და იქაური ამბები გამოვკითხეთ...*

— ერთადერთი, ვინც ახლა ქუთაისში ფეხბურთის შენარჩუნებაზე ფიქრობს, მხარის გუბერნატორი აკაკი ბობოხიძეა. კაცი ეუბნება ბიზნესმენებს, მოდით, საქმე წესიერად აკეთეთ და მეც ხელს შეგიწყობთ, გვერდით დაგიდგებითო, მაგრამ მსურველი არავინაა. ძალიან ცუდ დღეში ვართ, გამოსავალი კი არ ჩანს.

— გამოდის, ქუთაისის „ტორპედო“ პროფლიგაში საგარანტიო წერილს ვერ წარადგენს და გუნდი უმაღლეს ლიგას დაემშვიდობება...

— მხარის გუბერნატორი ახლა თბილისშია და ქუთაისში 5 ივლისს ჩამოვა. ამ ერთ დღეში რა მოხდება, არ ვიცი. შესაძლოა, გუბერნატორმა პროფლიგას სთხოვოს, თუმც მათაც ყველაფერი გამკაცრებული აქვთ. ჩვენი ბედი ალბათ ბოლო მომენტში გადაწყდება.

— **ინვესტორი რომც გამოჩნდეს, კლუბს დავალიანებაც აქვს და ისიც მან უნდა გადაიხადოს...**

— ექვსი თვეა, ხელფასი არავის აუღია, რამდენიმე კაცი ალბათ არც მოვითხოვთ, ის კი არა, თანამშრომლებს ხანდახან ჩვენ ვეხმარებოდით. ეს ხალხი ქუთაისის და „ტორპედოს“ სიყვარულით მუშაობდა, მაგრამ ჩანს, მარტო სიყვარული საქმეს ვერ აკეთებს. რამდენი ხანია, გუნდში ვარ, როგორ არ გაგვიჭირვებია, მაგრამ ასეთ დღეში არასოდეს ვყოფილვართ. ბურთი და ფორმა სანატრელი გაგვიხდა. ყველაფერი ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. არ ვიცი, რა იქნება...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# კალაძემ სახე გამოაჩინა

**კახა კალაძე** საქართველოში პირველ სარეკლამო საქმეში ჩაერთო — იტალიური „მილანის“ მცველი „მაგთის“ სახეა.

გუშინ ამ პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ შედგა, „მაგთის“ ხელმძღვანელობამ კალაძე დიდი სარეკლამო პლაკატის ფონზე წარუდგინა საზოგადოებას...

— სასიამოვნოა, რომ ასეთი ცნობილი ქართული ბრენდის რეკლამირების საშუალება მომეცა. „მაგთი“ ყველაზე კარგი და ხარისხიანი ოპერატორია და იმედი მაქვს, დღეის შემდეგ ეს კომპანია კიდევ უფრო პოპულარული გახდება. საქართველოში სარეკლამო საქმიანობაში ახლა პირველად ჩავერთე — თქვა კახა კალაძემ და შემდეგ მისი და „მაგთის“ გენერალურ დირექტორსა და მარკეტინგის მენეჯერისკენ რამდენიც იკითხეს საკონტრაქტო თანხაზე, პასუხი ისედაც არ ითქვა — კონფიდენციალური ამბავიაო...

კალაძე-„მაგთის“ კონტრაქტი კი ჯერჯერობით ერთწლიანი ყოფილა.

— „მაგთისთან“ სარეკლამო კონტრაქტს „მილანის“ ნებართვა არ სჭირდება. ეს ჩემი უფლებაა და ვერავინ ჩაერევა. აი, იტალიაში კი სხვანაირადაა. ჩემი ყველა სარეკლამო უფლება სწორედ კლუბს ეკუთვნის და „მილანის“ გარეშე მსგავსს ვერაფერს გავაკეთებ.

— ამ პროექტით მიღებულ ფულის ნაწილს სამტრედიაში ჩემი ძმის სახელზე მშენებარე ეკლესიას მოვახმარ, ნაწილს კი ბავშვთა სახლს, რომელიც ნუცუბიძის მეოთხე პლატოზე მდებარეობს — თქვა „მაგთის“ სახე კახა კალაძემ.

**კობა ინასარიძე**

# ლოკომოტივის ნამატი: ხოხონიშვილი-ყიფიანი



ლერი ხოხონიშვილი

**თბილისის** „ლოკომოტივი“ გუშინ შეკრებაზე ურეკში გაემგზავრა. როგორც ჩანს, ახალ სეზონში ვაკელებს სუსტი გუნდი სულაც არ ეყოლებათ. ზღვისპირულ შეკრებაზე „ლოკომოტივმა“ კიდევ ორი ახალი ფეხბურთელი იახლა — ლერი ხოხონიშვილი და გიორგი ყიფიანი.

ხოხონიშვილმა გასული სეზონი რუსთავის „ოლიმპში“ დაიწყო, შემდეგ „ბათუმში“ გაანათხოვრეს. გიორგი ყიფიანი კი დავით ყიფიანის ვაჟია. გიორგი 1988 წელსაა დაბადებული, „ლოკომოტივის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, თუმც ბოლო დროს „დინამო 2“-ში ვარჯიშობდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მეორე ტაიმი მეორე ბუნდესლიგელებს



**დავით სირაძის** „პადერბორნი“ თამაშში 12 ბურთის გატანას დაეჩვია. ამჯერად ჩვენებურის გუნდმა დუჟინი გოლი „გოფელდს“ უფეშქაშა, თუმც ერთის გაშვებაც „მოახერხა“.

სირაძე მწვრთნელმა კვლავ მეორე ტაიმში შეუშვა, მაგრამ მას ამჯერად არც გოლი გაუტანია და არც რომელიმე საგოლე კომბინაციაში მიუღია მონაწილეობა.

მეორე ტაიმი ითამაშა მათე ღვინიანიძემაც. მისმა „მიუნხენ 1860“-მა ქვედალიგელი „ეტცენრაიხტი“ 4:0 დაამარცხა. მათემ ცენტრალური მცველი სკუჰადა შეცვალა და მატჩის ბოლომდე ამ პოზიციაზე გაისარჯა.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მაღაროელი მაღალი მიზნებით

**რამდენიმე** უმაღლესლიგელს ვარჯიში არც დაუწყია, პირველლიგელი ჭიათურის „მაღაროელი“ კი 1 ივლისს შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას.

ჭიათურელებს უმაღლეს ლიგაში გადასვლა სურთ და ფეხბურთელებსაც იმატებენ — ახლახან გუნდს შეუერთდნენ გიორგი ილურიძე და პაატა გამცემლიძე ახალციხის „მესხეთიდან“, გიორგი თავბერიძე საჩხერის „ჩიხურადან“ და ვაჟა ჩოგოვაძე ქუთაისის „ტორპედოდან“.

15 ივლისს ზემოიმერლები ბაკურიანში წავლენ შეკრებაზე.

**ნუკრი ლოლაძე**

# ლეგიონერები სომხეთიდან
## მესხეთი სტადიონს ასე გაავსებს

**ახალციხის** „მესხეთი“ ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. გუნდი ჯერ მშობლიურ ქალაქში ვარჯიშობს, შემდეგ კი ზღვისპირეთში გაემგზავრება.

დღეს „მესხეთი“ პირველ ტესტ-მატჩს გამართავს „ბორჯომთან“.

„რამდენიმე ახალწვეული გვყავს და მათ „ბორჯომთან“ ვათამაშებთ. ჯერჯერობით გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებთ. ისე კი, გვინდა, რამდენიმე ფეხბურთელი სომხეთიდანაც მოვიწვიოთ. ახალციხეში დიდი სომხური დიასპორაა და ამით მათი დაინტერესება და სტადიონზე მოსვლა გახდება შესაძლებელი. ადგილობრივი მოსახლეობა ისედაც მოუთმენლად ელის სეზონის დაწყებას. დარწმუნებული ვარ, ჩვენს თამაშებზე, სულ მცირე, ხუთი-ექვსი ათასი მაყურებელი მაინც ივლის. რაც შეეხება სტადიონის საკითხს: ფედერაციიდან იყვნენ ჩამოსულები და შეამოწმეს. შევიტყვე, რომ კმაყოფილნი დარჩნენ, თუმცა გადაწყვეტით არაფერი უთქვამთ. სავარაუდოდ, პირველ წრეს ახალციხეში ვითამაშებთ, მეორეს კი — ბორჯომში, რადგან გაზაფხულიდან სტადიონის რეკონსტრუქციას ვიწყებთ“ — გვითხრა „მესხეთის“ პრეზიდენტმა გია მესხელმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კოპა ამერიკა 2007
## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი

# ვეღარ გადაგვივლიან!
## ორთვიანი პიზარო

**A ჯგუფი. III ტური**

**პერუ 2:2 ბოლივია**

0:1 მორენო (24), 1:1 პიზარო (34), 1:2 კამპოსი (45), 2:2 პიზარო (85)
**პერუ:** ბუტრონი, ვილამარინი, ა. როდრიგესი, გალიკიო (ერერა 55), ვილკესი, მარინო, დე ლა აზა, ისმოდესი (რ. ხიმენესი 70), ფარფანი, გერერო, კ. პიზარო
**მწვრთნელი:** ხულიო სესარ ურიბე
**ბოლივია:** უ. სუარესი, ოიოსი, ხ. პენა, რალდესი, ლ. ალვარესი, ლ. რეესი, ჟ. კამპოსი (გალინდო 66), მოხიკა (ორტისი 80), ვაკა, მორენო, ანდავერისი (ხ. არსე 56)
**მწვრთნელი:** ერვინ სანჩესი
**გაფრთხილება:** ფარფანი, დე ლა აზა, რალდესი, როდრიგესი, ერერა, ერერა, რუიესი, გალინდო, ხიმენესი, ზუნიგა
**გაძევება:** ერერა (77)
**მსაჯი:** კარლოს ჩანდია (ჩილე)
35 000 მაყურებელი

**1997 წლის** შემდეგ არ მოუგია ბოლივიას „კოპა ამერიკაზე“ და ვერც ამჯერად შეძლო ნავსის გატეხვა. არადა, ახლოს იყო გამარჯვებასთან და მეოთხედფინალთან. პერუს ჩელსიელმა ფორვარდმა, კლაუდიო პიზარომ თავით ორი გოლი გაიტანა და ბოლივია ვენესუელადან შინ გაუშვა. ერვინ სანჩესის გუნდი ორჯერ უგებდა პერუს, რომელიც 77-ე წუთიდან კაცნაკლული დარჩა, მაგრამ უპირატესობა მაინც ვერ შეინარჩუნა.

მეოთხედფინალში გასასვლელად ბოლივიას მოგება სჭირდებოდა, ეგიგრანადაც შეუტია და მალევე დაწინაურდა: ხამე მორენოს ბურთი საჯარიმოს ხაზთან მიაწოდეს და მანაც ისე ამოჰკრა ფეხი, რომ ოდნავ წინ გამოსულ მეკარეს მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

ამის მერე პერუმაც გამოაჩინა ფხა. ყველაზე მეტად კლაუდიო პიზარო ყოჩაღობდა და გარჯა დაუფასდა — ხუან კარლოს მარინოს ჩაწოდებულ ბურთზე მცველებს დაასწრო და თავით დაბალ კუთხეში შეაგდო ბურთი.

შეტევით გართულმა პერუელებმა ტაიმის ბოლოს მეორე გაუშვეს. საჯარიმოში შესულმა ჟასმანი კამპოსმა უძლიერესად დაარტყა და ბურთი ლეაო ბუტრონის კარში ტყვიასავით შევარდა.

მეორე ნახევრის დაწყებიდან ათ წუთში პერუელთა მწვრთნელმა ხულიო სესარ ურიბემ მცველი გალიკიო ნახევარმცველ ერერათი შეცვალა, რომელმაც 22 წუთში ორჯერ მოასწრო ყვითელი ბარათის მიღება და მსაჯმა კარლოს ჩანდიამ გააძევა.

ერერას გაძევების მიუხედავად, პერუმ რამდენიმე მომენტი შექმნა და კაცმეტ მეტოქეს თამაშის მიწურულს ქულა გამოჰგლიჯა, რამაც მეოთხედფინალში გაიყვანა. ისევ ხუან კარლოს მარინოს ჩაწოდებულზე იხეირა კლაუდიო პიზარომ — მცველებზე მაღლა ახტა და უგო სუარესს თავით გაუტანა.



პაულო გერერო ბოლივიელებში აიხლართა

AFP

ბოლივიელთა მწვრთნელმა ერვინ სანჩესმა განაცხადა: „ამ გუნდით კმაყოფილი ვარ. ძველებურად ვეღარ გვჩაგრავენ, ადრე იოლად გადაგვივლიდნენ ხოლმე, ახლა კი ბიჭები იბრძვიან და უფრო გამართულად თამაშობენ“.

„ასეთი თამაშით შორს ვერ წავალთ — თქვა პერუელთა თავკაცმა ხულიო სესარ ურიბემ — ხარისხი აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ. ზოგიერთი ფეხბურთელი აშკარად ვერ ასრულებს დავალებას“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კარლოს, აქ რა გინდა?!


AFP

**ვენესუელა 0:0 ურუგვაი**

**ვენესუელა:** რ. ვეგა, ე. გონსალესი, ჩიკერო, ხ. რეი, ე. პერესი, ლ. ვერა, მეა ვიტალი (პ. ფერნანდესი 76), ს. გონსალესი, არანგო, მალდონადო (ტორეალბა 56), დე ორნელასი (გუერა 66)
**მწვრთნელი:** რიჩარდ პაესი
**ურუგვაი:** კარინი, დ. პერესი, ლუგანო, სკოტი, დ. როდრიგესი, მ. ფერეირა, პაბლო გარსია, კ. როდრიგესი, ფუსილე, ფორლანი (აბრეუ 79), ვ. სანჩესი (რეკობა 67)
**მწვრთნელი:** ოსკარ ტაბარესი
**გაფრთხილება:** ს. გონსალესი, მეა ვიტალი, ფუსილე, პერეირა
**მსაჯი:** კარლოს სიმონი (ბრაზილია)
41 000 მაყურებელი

**ეს იყო** პირველი უგოლო მატჩი ტურნირზე. ვენესუელამ წაუგებლად ჩაამთავრა ჯგუფური ეტაპი და ისტორიაში პირველად გავიდა მეოთხედფინალში. შეხვედრას ბრაზილიელი კარლოს სიმონი სჯიდა, რომელმაც წინა დღეს არგენტინა — კოლუმბია განსაჯა. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ არ ახსნა, თუ რატომ მიიღო ასეთი უცნაური გადაწყვეტილება და რატომ ამსაჯა ერთი და იგივე კაცი ზედიზედ ორი დღე.

ფეხბურთიც უცნაური იყო, რადგან ორივე გუნდს ფრე ხელს აძლევდა და მათი თამაში ბურთით ხეირობას უფრო ჰგავდა. 41 ათასი გულშემატკივარი კი უკმაყოფილო დარჩა „ხვარკით“. ბევრი მათგანი ხომ საათობით იდგა მზის ქვეშ ბილეთების რიგში.

მეტოქეებს თითო ქულა უნდოდათ და თავი არ შეუწუხებიათ. მით უმეტეს, არ გარისკავდა ვენესუელა, რაკი იცოდა, რომ ამ ქულით ჯგუფში პირველ ადგილს ინარჩუნებდა და მასპინძელი გუნდისთვის ესეც მნიშვნელოვანი იყო.

„ჩვენ ინტელექტუალურად ვითამაშეთ და მივიღეთ ის, რაც გვინდოდა“ — თქვა ვენესუელელმა ფორვარდმა ხოსე ტორეალბამ.

მასპინძლები მეოთხედფინალურ მატჩს შაბათს, სან კრისტობალში ითამაშებენ.

პირველ ტაიმში რიჩარდ პაესის გუნდმა ორი მომენტი შექმნა. ურუგვაელთა მეკარემ ფაბიან კარინიმ ჯერ ხუან არანგოს საჯარიმო დარტყმა მოიგერია, მერე კი ჯანკარლო მალდონადოსაც გაატანინა. ხოლო ურუგვაელებმა კარისკენ პირველად მეორე ტაიმის დასაწყისში დაარტყეს — დიეგო ფორლანმა გვარიანად ააცილა.

ბოლო ოც წუთში ვენესუელამ ინამუსა და ცოტა ტემპს მოუმატა, რასაც ტორეალბასა და სესარ გონსალესის შორიდან გასროლა მოჰყვა, მაგრამ ფაბიან კარინი არ შეუწუხებიათ — ორივემ ააცილა ბურთი კარს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენესუელა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| პერუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| ბოლივია | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |

## კაკას მამა

„მილანის“ [illegible] ნტმა ადრიანო გალიანიმ კიდევ ერთხელ [illegible] ის“ გასაგონად, რომ კაკა არ იყიდება.

„მე უკვე ველაპარაკე ფეხბურთელის მამას, რომელიც შვილის აგენტია — განაცხადა მან — როცა კაკა შვებულებიდან დაბრუნდება, მისი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ვისაუბრებთ. მე და ბერლუსკონი ბრაზილიელს არ გავყიდით“.

მეორე ბრაზილიელი რიკარდო ოლივეირა კი „მილანიდან“ ალბათ ესპანურ კლუბში გადავა, შარშან „ბეტისიდან“ შეძენილ ფორვარდს „სარაგოსა“ ეპატიჟება.

## იგორი სახლში გაბრაზდა

**„იუვენტუსის“** ყოფილმა ფეხბურთელმა იგორ ტუდორმა, რომელიც სპლიტის „ჰაიდუკში“ გადავიდა, ტურინული კლუბი სამშობლოდან გალანძღა.

ხორვატმა მცველმა თქვა: „იუვენტუსი“ მანქანასავითაა — არავითარი მეგობრობა. იტალიელებს შორის არის რაღაც ამის მსგავსი, მაგრამ მთავარია, ვარჯიში და მატჩი. როცა კარგად თამაშობ, ყველა შენს გვერდითაა, ხოლო თუ ფეხი აგერია, მაშინვე ტრანსფერზე დაგაყენებენ. იქ გულს არავინ გაჩვენებს“.

## ლაუთი ჰანოვერში

**გერმანელი** ფორვარდი ბენჯამინ ლაუთი „ჰამბურგიდან“ „ჰანოვერში“ გადავიდა. 25 წლის ფეხბურთელმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მის სანაცვლოდ კი 500 ათასი ევრო გადაიხადეს.

გასული სეზონის მეორე ნახევარში, ლაუთი „შტუტგარტში“ იყო განათხოვრებული. ბუნდესლიგაში მას 119 მატჩი უთამაშია და 33 გოლი გაუტანია.

## სანტანა: ატლეტიკოს მეექვსე

**„სანტოსის“** ნახევარმცველი კლებერ სანტანა მადრიდის „ატლეტიკომ“ იყიდა. 26 წლის ფეხბურთელმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი მადრიდული კლუბის მეექვსე შენაძენია და მედიას უახლოეს დღეებში წარუდგენენ. სანტანამდე „ატლეტიკოში“ გადავიდნენ ლუის გარსია, დიეგო ფორლანი, კრისტიან აბიატი, რაულ გარსია და დიეგო და კოშტა.

## ტიმოს ჩაასვეს

**მაისში** გადაწყვეტილი იყო და გუშინ ოფიციალურად გაფორმდა ტიმო ჰილდებრანდის ტრანსფერი „ვალენსიაში“. „შტუტგარტის“ 28 წლის გერმანელმა მეკარემ სამედიცინო შემოწმება გაიარა და „ლამურების“ მაისურა მოირგო. „ვალენსიამ“ ჰილდებრანდამდე ხავიერ არისმენდი და ალექსის რუანო იყიდა.

# ტორესი ლივერპულში: სტილი სტილში

**ფერნანდო ტორესმა** თქვა, „ლივერპული“ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბიაო.

მოგეხსენებათ, მადრიდის „ატლეტიკოს“ 23 წლის თავდამსხმელი პრემიერლიგის კლუბში 26,5 მილიონ გირვანქად ამ დღეების გადასულია. და, როგორც გამონათქვამებზე ეტყობა, ფრიად გახარებულიც უნდა იყოს.

„მადრიდიდან წასვლა ძალიან ძნელი გადასაწყვეტი იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, „ლივერპულის“ წინადადებაზე უარის თქმა არაფრით შეიძლებოდა. ეს ტრანსფერი ჩემთვის ძალიან დიდი ნახტომია და, ვფიქრობ, მასში მონაწილე ყველა მხარე კმაყოფილი დარჩება. ნებისმიერი ფეხბურთელის ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც მან გაცილებით დიდ გამოწვევებს უნდა გაუსწოროს თვალი. ჩემთვის ახლა, სწორედ ასეთი დროა. მე ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რაც მადრიდის „ატლეტიკოსთვის“ იყო კარგი. როგორც კი „ლივერპულმა“ წინადადებით მომმართა, იმწუთას „ატლეტიკოს“ შეფებს გავაცანი. ვფიქრობ, ინგლისელთა წინადადება ჩემთვისაც მშვენიერი იყო და მათთვისაც. „ლივერპული“ ის გუნდია, რომლის შემადგენლობაშიც ძალიან მინდოდა თამაში. ჩემი აზრით, „ლივერპული“ ევროპაში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად არის“.



AFP

აღსანიშნავია, რომ ტორესი იმ ცნობილ ლივერპულელთა გრძელ სიას შეემატება, რომლებიც ამ დიდი გუნდის შემადგენლობაში მეცხრე ნომრით გამოდიოდნენ.

„ის, რომ „ლივერპული“ 9-ნომრიან მაისურს მაძლევს, იმის დასტურია, რომ ამ კლუბში ამთავითვე ძალიან მენდობიან — განაგრძო მადრიდელმა — ცხრა ნომერი ხომ ისტორიის განმავლობაში უდიდეს ლივერპულელებს სცმიათ. ჩემს წინაშე ახალი შესაძლებლობები იშლება და ვიმედოვნებ, დაუღალავი შრომითა და მოწადინებით წარმატებას მივაღწევ. „ლივერპული“ ის გუნდია, რომელიც მუდამ უმაღლესი შედეგებისთვის იბრძვის და ჩემი აქ გადმოსვლაც სწორედ ამან განაპირობა. მინდა, რაც შეიძლება, სწრაფად ავუღო ალღო აქაურობას. ვფიქრობ, პრემიერლიგაში ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, რომელსაც ჩემი სტილი იოლად მოერგება. ერთი სიტყვით, სიხარულითა და ამბიციით ვარ სავსე“.

**პაპუნა ძიძია**

# ვინ გააჩერებს ტაქსინს?
## ფული გაქვს? მაქვს! მაქვს!



**ტაქსინ შინავატრამ** „მანჩესტერ სიტი“ იყიდა — ეს ცნობილი ამბავია. ტაილანდის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ინგლისური პრემიერლიგის კლუბში 81,6 მილიონი გირვანქა გადაიხადა, მაგრამ მის სამშობლოში ამ ამბავმა მავანთ დიდი ეჭვები აღუძრა. როგორ აღმოჩნდა ეს თანხა ბრიტანეთში? როგორ გავიდა ტაილანდიდან? საიდან? — გაჩნდა უამრავი კითხვა და ეს გასაკვირი არც არის, რადგან, სადაც პოლიტიკა და დიდი ფულია, ერთმანეთის გლეჯვა და ხვრაც იქვეა, თუმცა ეს „გლეჯვა და ხვრა“, ზოგ ქვეყანაში უფრო უშნოდ ჩანს, ზოგში კი ლამაზად არის შეფუთული.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ტაქსინ შინავატრას წინააღმდეგ ტაილანდის დღევანდელმა ხელისუფლებამ ძიება წამოიწყო. რას გამოიძიებენ აზიელები, დრო მოვა და გამოჩნდება, ჩვენ კი მანამდე ისა ვთქვათ, ევროპელები რას და როგორ ამბობენ. მათი დამოკიდებულება საკითხისადმი, წესით, საპირისპირო უნდა იყოს, მოვიდა უცხოელი და ფული მოიტანა, მათი ქვეყნის ერთ-ერთი კლუბის საქმეში აპირებს დახარჯვას.

Seymour Pierce Investment Bank-ის აღმასრულებელი თავმჯდომარე კიტ ჰარისი: „ფული, რომლითაც „მანჩესტერ სიტი“ იყიდეს, აბსოლუტურად სუფთაა. ის გაერთიანებულ სამეფოში სრულიად ლეგიტიმურად და ყველა კანონის დაცვით შემოვიდა“.

ტაქსინს, რომელმაც „მანჩესტერ სიტის“ ყიდვაზე განაცხადი იურიდიულად 21 ივნისს შეიტანა, სამშობლოში კორუფციაში სდებენ ბრალს და ბანკებში 830 მილიონი გირვანქა გაუყინეს, ტაილანდის ფინანსთა მინისტრმა ჩალონგფობ სუსანგკარნმა კი გაოცებით თქვა, ამხელა „მანჩესტერ სიტის“ ყიდვისთვის სამყოფი ფული შინავატრას ინგლისში საიდან აღმოაჩნდაო?

სუსანგკარნი: „ტაილანდისთვის ნამდვილი გამოცანაა, საიდან გამოჩნდა ამოდენა ფული დიდ ბრიტანეთში. დარწმუნებული ვარ, ტაილანდის ქონების კონტროლის კომისია გამოიკვლევს ამ თანხის წარმოშობას და დაადგენს, რამდენად ლეგალურად აღმოჩნდა ის გაერთიანებულ სამეფოში“.

და ისევ ჰარისი: „ტაქსინი ტაილანდში პრემიერ-მინისტრი გახლდათ და ძალიან პოპულარული იყო. დღევანდელი ბრალდებები სამხედრო ხელისუფლების მიერ, მისი პოლიტიკური დევნითაა განპირობებული და მეტი არაფერი. ტაქსინ შინავატრას ტაილანდის ბანკებში დიდძალი ფული დაუპატიმრეს, მაგრამ თანხა, რომლითაც მან „მანჩესტერ სიტი“ იყიდა, ინგლისური ბანკის ანგარიშიდან არის მოტანილი და ტაილანდელები მას ხელს ვერ შეახებენ“.

**პაპუნა ძიძია**

# სერის საპარსი

**კრიშტიანუ რონალდუ** „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს ენიძლავება ხოლმე, ტრადიცია აქვთ ასეთი... და აი, ახალი ნიძლავიც: პორტუგალიელმა შემტევმა ბოსს უთხრა, თუ მომავალ სეზონში 20 გოლზე ნაკლებს გავიტან, თავს გადავიხოტრავო.




თუმცა, როგორც ირკვევა, ნიძლავი აქ არ შეწყვეტილა და, რაც აქამდე მოგახსენეთ, ნახევარი ყოფილა.

რონალდუ: „დიახ, თუ 20 გოლზე ნაკლებს გავიტან თავს გადავიხოტრავ, მაგრამ, თუ მეტს, მან უნდა გადაიხოტროს“.

აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები.

გასულ სეზონში კი ნიძლავი უფრო „აკადემიური“ გახლდათ: რონალდუს ფერგიუსონისთვის ნათქვამი ჰქონდა, 15 გოლზე ზევით ფული გადამიხადეო და 17 გოლში 400 გირვანქა გამოართვა, მაგრამ მილიონერი ვარსკვლავისთვის 400 გირვანქა რა ბედენაა, ამ ფულის გამორთმევას ისევ ხალისი და გართობა არ სჯობს? ჰოდა, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ხმა გამოვიდა, რონის ბიჭებისთვის უთქვამს, სეზონის ბოლოს ფერგიუსონს ახალი ვარცხნილობით გაჩვენებთო.

**პაპუნა ძიძია**



# ჩვენი სვენი ჩვენთან!

**ყველაფერი** დალაგდა — სვენ გორან ერიკსონი მანჩესტერში ჩაფრინდა, რათა ადგილობრივი „სიტის“ წვრთნას მიჰყოს ხელი. გუშინ, სერინგტონში, კლუბის საწვრთნელ ცენტრში, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი შვებულებიდან დაბრუნებულ ფეხბურთელებს უნდა შეხვედროდა და გაცნობოდა. ბოლოს და ბოლოს, ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ტაქსინ შინავატრას მიერ „მანჩესტერ სიტის“ ყიდვის ისტორია, რომელიც სეზონის ბოლოდან ბოლო დღეებამდე გრძელდებოდა, დასრულდა. კლუბს ახალ მეპატრონესთან ერთად ახალი მწვრთნელიც ჰყავს.

მოგეხსენებათ, ინგლისისა და არა მარტო ამ ქვეყნის საფეხბურთო საზოგადოებისთვის, ერიკსონისა და „მანჩესტერ სიტის“ ამბავი, კარგა ხანია, ცნობილი იყო, მაგრამ შვედი და კლუბი ხელშეკრულების გაფორმებას არ ჩქარობდნენ, რადგან ნათქვამი ჰქონდათ, რომ ხელმოწერებს კონტრაქტზე მხოლოდ მას მერე დასვამდნენ, რაც შინავატრა „სიტის“ აქციათა 75 პროცენტს შეიძენდა. შინავატრას აქციათა 75 პროცენტი არ შეუძენია, ის, ჯერჯერობით, 70 პროცენტის მეპატრონეა, მაგრამ 70 75-თან ძალიან ახლოს გახლავთ და ერიკსონმა დრო აღარ დაკარგა, მოსახდენი მაინც მოხდებაო.

საინტერესოა, რომ წინასწარი გეგმის თანახმად, გუშინ „სიტი“ ორ სხვა მწვრთნელს უნდა შეეკრიბა და პირველი ვარჯიშებიც მათ უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ შვედმა იფიქრა, რომ ეს უკვე არასწორი და ფეხბურთელების დაბნევა იქნებოდა და, როგორც მოგახსენეთ, მანჩესტერს ჩავიდა.

გუშინ სვენ-გორან ერიკსონს პრესკონფერენცია უნდა გაემართა...

**პაპუნა ძიძია**

პორტუგალიის ნაკრებისა და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკლავმა კრიშტიანუ რონალდუმ ავტობიოგრაფია დაწერა, რომლის პრეზენტაციაც 7 ივლისს შედგება. წიგნის სახელია — „მომენტები ისე, როგორც ამას მე ვგრძნობ". ოფიციალურ პრეზენტაციამდე წიგნიდან რამდენიმე საინტერესო ამონარიდი გამომცემლობა AUTHORS ONLINE-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. 22 წლის რონალდუ ავტობიოგრაფიულ წიგნში კუნძულ მადეირაზე გატარებულ ბავშვობას იხსენებს და კიდევ ბევრ საინტერესო ამბავზე საუბრობს...



# კრიშტიანუ რონალდუ: მომენტები ისე, როგორც ამას მე ვგრძნობ

„ახლა ძნელია, შევიკავო ღიმილი, როცა მისი სახე მახსენდება მას მერე, რაც გაკვეთილზე კვლავ დაგვიანებით შევიდოდი იდლიაში ბურთამოჩრილი — იხსენებს რონალდუ თავის მასწავლებელ ქალს — იგი გაბრაზებული შემომხედავდა და მეტყოდა ხოლმე — რონალდუ, ამოიგდე თავიდან შენი ფეხბურთი! ბურთი ვერ დაგაპურებს და აღარ გაბედო გაკვეთილის გაცდენა. სკოლა — აი, რაზე უნდა ფიქრობდე, შენ კი მხოლოდ ფეხბურთი გიტრიალებს თავში".

რას წარმოიდგენდა ის ქალბატონი, რომ ამ სიტყვებს თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს ეუბნებოდა, კრიშტიანუ რონალდუს, რომელიც ახლა კვირაში 125 ათას გირვანქას იღებს.

„ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით — აგრძელებს რონალდუ — სიმართლე გითხრათ, მაშინ მასწავლებლის ამ სიტყვებს ყურს არ ვუგდებდი, მაგრამ ახლა ეს კარგად მესმის. მართალია, ახლა იგი დედაჩემსა და ჩემს ახლობლებს ეუბნება, რომ ფეხბურთზე ერთ ცუდ სიტყვასაც აღარ იტყვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ მაშინ სწორად იქცეოდა და მის ადგილას მეც ასე ვეტყოდი ჩემს მოსწავლეებს. იგი ბრწყინვალე მასწავლებელი გახლდათ და ბევრ რამეში მართალი იყო. მე გამიმართლა, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება ხვალ, ამიტომ სწავლა აუცილებელია. სხვა საქმეა, რომ იმ ასაკში ბავშვები დიდების რჩევა-დარიგებებს სერიოზულად არ აღიქვამენ".

წინა ზაფხულს, „მანჩესტერში" გადასულმა პატრის ევრამ რამდენიმე თვის წინ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ღიმილით აღნიშნა — კრიშტიანუ სულ ბურთთან ერთად არის, მასთან განშორება არ უნდა და ალბათ თუ მოკლავ, თორემ ისე ბურთს ვერ წაჰგლეჯო.

რონალდუ ამას ადასტურებს: „ბურთს არასოდეს ვშორდები, ის სულ ჩემთან ერთადაა. ასე იყო ბავშვობაში, მოზარდობისას და ასეა ახლაც. როგორც ჩანს, ყოველთვის ასე იქნება. სხვანაირად არ შემიძლია. ბევრი თვლის, რომ გახურებისას, როცა ბურთის კენწვლას ვიწყებ, ხალხზე ვთამაშობ, მაგრამ ასე არ არის. სინამდვილეში, ბურთთან განშორება არ შემიძლია, სულ ასეა. თან, ეს მოღუნებასა და სათანადო განწყობის შექმნაში მეხმარება. ამას კლუბში და ნაკრებში ჩემი თანაგუნდელებიც დაადასტურებენ, ისინი კარგად მიცნობენ".

ლისაბონის „სპორტინგის" ექსფეხბურთელი იხსენებს 2005 წელსაც, თავის ვიზიტს ინდონეზიის ქალაქ ბანდა აჩეჰში. იმ კოშმარული ცუნამის შემდეგ, რომელმაც 280 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ექვსი თვე იყო გასული. იქ მან 7 წლის მარტუნისი გაიცნო...

„იქ რომ ჩავედი, ხალხი უკვე ცოტა გამოფხიზლებული იყო საშინელი ტრაგედიის შემდეგ და ღიმილით დამხვდნენ — ამბობს რონალდუ — ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ მქონდა შესაძლებლოლა, დავხმარებოდი მათ და ის ამბავი ცოტა ხნით მაინც დამევიწყებინა. ვლაპარაკობდით, ვხუმრობდით და ვმხიარულობდით, როგორც შესაძლებელი იყო. დავინახე, რომ მათ თვალებში იმედი გაჩნდა და ირწმუნეს — ყველაფერი მოგვარდებაო. ბევრი თან დამყვებოდა, სადაც უნდა წავსულიყავი. ზოგი ფეხით, ზოგი მოტოციკლით, ზოგიც ავტობუსით... იქ გავიცანი მარტუნისი, 7 წლის ბიჭი, რომელიც როგორღაც გადაურჩა ცუნამს და 19 დღის შემდეგ იპოვეს. მასთან მთელი დღე გავატარე. ძალიან ამაღელვა მარტუნისის ბავშვურმა, უმანკო გამოხედვამ და იმ ალალმა ცნობისმოყვარეობამ, რომელსაც იგი ყველაფრისადმი იჩენდა. ვერც კი წარმოვიდგენ, თუ რა გადაიტანა მან. იმ ტრაგედიის მერე, 19 დღე მარტო იყო, თავის ოჯახზე არაფერი იცოდა და გადარჩენისთვის იბრძოდა. მას მობილური ტელეფონი ვაჩუქე და მყისვე ჩემი ნომერი მკითხა. მერე ტელეფონებზე სხვადასხვა თამაშებით გავერთეთ. მისთვის ეს ყველაფერი ახალი და საოცარი იყო. როდესაც ნოუთბუქი გავხსენი, მარტუნისს თვალები გაუბრწყინდა, მან პირველად ნახა კომპიუტერი. იგი ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა ჩემი სურათები და სხვადასხვა მატჩებიდან მომენტები ვაჩვენე. მარტუნისი ნამდვილი გმირია. თავისი ასაკის მიუხედავად, მან საოცარი სიმამაცე გამოიჩინა და გადარჩა. მას ჯერ ყველაფერი წინ აქვს და ვიცი, ბედნიერი იქნება".

**გიორგი კაკაბაძე**

# მოდი, გავაგოროთ

## ბრაზილიელი თუ გახორვატდი, ინგლისში წახვალ

**ედუარდო და სილვა** ამბობს, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, ინგლისის ნაკრების კარში გატანილმა გოლმა მას „არსენალში" 10-მილიონგირვანქიანი ტრანსფერი გაუჩარხა — ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელი „ემირატ სტედიუმზე" გულშემატკივრებს 9-ნომრიანი მაისურით წარუდგინეს.

გახორვატებულმა ბრაზილიელმა თქვა: „ასე მგონია, ჩემს ტრანსფერში დიდი როლი ზაგრებში გატანილმა გოლმა ითამაშა. ის გოლი მართლაც განსაკუთრებული იყო და ევრო 2008-ზე გასასვლელად სამი ქულაც ძალიან გვჭირდებოდა".

შეგახსენებთ, რომ მატჩი, რომელსაც ედუარდო და სილვა გულისხმობს, გასული წლის ოქტომბერში გაიმართა და ხორვატიამ 2:0 მოიგო. ორიდან და სილვას გოლი პირველი გახლდათ.




„ჩემმა აგენტმა და ზაგრების „დინამოს" ხელმძღვანელებმა მითხრეს, რომ ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა საკითხი მოგვარებული იყო და მეც ლონდონში მხოლოდ ქაღალდზე ხელის მოსაწერად ჩამოვედი. „არსენალის" ფეხბურთელობა ჩემთვის დიდი პატივია. იმედი მაქვს, რომ მის ხელმძღვანელებს იმედებს არ გავუცრუებ და „მეთოფეებთან" ერთად იმდენ ჯილდოს მოვიგებ, რამდენის საშუალებაც მოგვეცემა. ინგლისური ფეხბურთის შესახებ ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა საკმაოდ დაწვრილებით მიამბო ყველაფერი, ხოლო თავისი წილი ინფორმაციით, „დერბი ქაუნთიში" მოთამაშე ჩემმა მეგობარმა ბრანკო შტრუპარმაც შემავსო. ერთი სიტყვით, არ მგონია, რაიმე გამიჭირდეს. თუ ინგლისური ფეხბურთის ძალისმიერ მხარეზეა ლაპარაკი, ხორვატიაშიც კარგა ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ. ასე რომ, ამ მხრივ არაფერი გამიკვირდება. განსხვავებას არც ტექნიკაში ველი, აი, დისციპლინა და კონცენტრაცია კი, ვფიქრობ, მთავარი განსხვავება იქნება. ინგლისს ხორვატიასთან შედარებით სწორედ ეს უპირატესობა აქვს".

შემდეგ ედუარდო და სილვას შეახსენეს, რომ მას ტიერი ანრის ნაკვალევზე მოუწევს სირბილი...

„ანრის, როგორც ფეხბურთელს, ნაკლი არ ჰქონდა და მე მის დონეს რომ მივაღწიო, ბევრი მუშაობა მომიწევს, მაგრამ მეორე მხრივ, „არსენალის" სტილი ჩემი სტილიცაა. „არსენალი" ბურთს აგორებს და მეც ეს მინდა".

**პაპუნა კედია**

## ვესტელი ბიტი

**შოტლანდიის** ნაკრებისა და „სელტიკის" ფორვარდი კრეიგ ბიტი ინგლისის ჩემპიონლიგის „ვესტ ბრომვიჩში" გადავიდა. მასში მილიონ 250 ათასი გირვანქა გადაიხადეს და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ბიტი „სელტიკამდე" „რეინჯერსში" თამაშობდა. ნაკრებში მისი დებიუტი კი 2005 წლის სექტემბერში, იტალიასთან მატჩში შედგა. სწორედ მან გაუტანა წლეულს საქართველოს ნაკრებს 89-ე წუთზე და შოტლანდიას 2:1 მოაგებინა.

## თოფი და კაჭკაჭი

**„არსენალმა"** და „ნიუკასლმა" გუშინწინ ობაფემი მარტინსის ტრანსფერზე ივაჭრეს — წერს „სანი". „მეთოფეებმა" ნიგერიელ ფორვარდში „კაჭკაჭებს" 10 მილიონი გირვანქა შესთავაზეს, ისინი კი 13-მილიონს ითხოვენ. მარტინსის ყიდვა „იუვენტუსსაც" უნდა.

ამ კვირაში კი, შესაძლოა, არსენ ვენგერმა კლუბთან კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივოს. ახალი ხელშეკრულების თანახმად, 58 წლის ფრანგი კვირაში 75 ათას გირვანქას მიიღებს, რაც ძველ ხელფასზე 25 ათასით მეტია.

## ვილას მიზანი

**„დეილი მეილის"** ცნობით, „ასტონ ვილა" ოთხ ფეხბურთელს უმიზნებს და 30 მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებს.

ოთხეულში არიან: ჯერმენ დეფო („ტოტენჰემი"), შონ რაიტ-ფილიპსი („ჩელსი"), ნაიჯელ რეო-კოკერი („ვესტ ჰემი") და ჯუსი იასკელაინენი („ბოლტონი").

## კრესპოს კოპა დამთავრდა

**ერნან კრესპოსთვის** „კოპა ამერიკა" დასრულდა. იგი ნაკრებთან დარჩება და თამაშებს სკამიდან ნახავს, რადგან აშშ-სთან მატჩში ფეხი იტკინა. მე-20 წუთზე კრესპომ პენალტი დაარტყა და მარჯვენა მუხლის მყესები ისე დაიზიანა, რომ სამკვირიანი მკურნალობა დასჭირდება გამოსაკეთებლად. „კოპა ამერიკა" კი 15 ივლისს მთავრდება.

**გაგა ხუციშვილი**



# კივუ მორჩა: 18 მილიონად რე-ალ-ში!

**მადრიდის** „რეალმა“ კრისტიან კივუსთვის გამართულ სატრანსფერო რბოლაში „ბარსელონას“ და „ინტერს“ აჯობა — „სამეფო თეთრებმა“ „რომას“ 18 მილიონი ევრო გადაუხადეს და რუმინელი მცველიც კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ „რეალის“ ფეხბურთელი გახდება.

გუნდის სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი რუმინელთან პირობებზე მოლაპარაკებას ჯერაც აწარმოებს, თუმცა ესპანური და იტალიური მედიის ცნობით, საქმე არ გაჯანჯლდება და მადრიდელი ინჩადა თავის ახალ ფეხბურთელს მალე იხილავს.

მიატოვიჩი „რომას“ სპორტულ დირექტორ დანიელე პრადეს შეხვდა და დაინტერესებული მხარეები ორსაათიანი თათბირის შემდეგ შეთანხმებამდე მივიდნენ. „რეალის“ წარმომადგენელმა თავიდან რომაელებს კრისტიან კივუს სანაცვლოდ 17 მილიონი ევრო შესთავაზა, პრადემ კი 19 მილიონი მოითხოვა. შემდეგ დირექტორებმა მოილაპარაკეს და ორივე კლუბისთვის მისაღებ 18 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ.

აღსანიშნავია, რომ რომაელებს სატრანსფერო ოპერაციაში სისინიოს ჩართვა სურდათ. ბრაზილიელი „რომას“ მწვრთნელ ლუჩანო სპალეტის ფავორიტია და დანიელე პრადემაც განუცხადა მიატოვიჩს, რომ სისინიოს იტალიაში გადაბარგების შემთხვევაში, კივუს „რეალი“ უფრო ნაკლებ ფასად მიიღებდა. თუმცა სისინიო „რეალშიც“ არანაკლებ სჭირდებათ და მიატოვიჩმაც მთელი თანხის გადახდა ამჯობინა.

მოლაპარაკებას ერნესტო ბრონძეტი, ცნობილი სატრანსფერო საქმეთა გამრიგეც დაესწრო.

როგორც გაირკვა, თავიდან რომაელებს უნდოდათ, კივუს გუნდიდან წასვლის შესახებ ოფიციალურად დღეს გამოეცხადებინათ, თუმცა მიზეზთა გამო, რუმინელთან გამომშვიდობება მომავალი კვირისთვის გადაიდო.

კრისტიან კივუ „რეალისთვის“ საახალსეზონოდ მეორე ახალწვეულია, პირველი კი გერმანელი კრისტოფ მეცელდერი გახლდათ. თუმცა, რუმინელისგან განსხვავებით, მეცელდერი გუნდში უფასოდ მივიდა — მას კონტრაქტი ამოეწურა დორტმუნდის „ბორუსიასთან“.

ამბობენ, რომ „რეალის“ მომავალი მწვრთნელი ბერნდ შუსტერი, მეცელდერისა და კივუს შემატებით ძალიან კმაყოფილია.

**ლადო ხომერიკი**

# მადრიდელები არ წააგებენ

## გეორგე ჰაჯის რჩევის მიცემა გაუჭირდა



მადრიდული „ასი“ „რეალში“ კრისტიან კივუს გადასვლასთან დაკავშირებით სახელგანთქმულ რუმინელს და „სამეფო გუნდის“ ექსფეხბურთელ გეორგე ჰაჯის გაესაუბრა. „კივუ მზად არის „რეალში“ სათამაშოდ. მისი შეძენით მადრიდის „რეალი“ დიდ მოგებას ნახავს“ — თქვა ჰაჯიმ

**— კრისტიან კივუს მადრიდულ ტრანსფერზე რას ფიქრობთ?**

— კრისტიანი ნამდვილი ლიდერია. ასეთი იყო „აიაქსშიც“, „რომაშიც“, რუმინეთის ნაკრებშიც და, დარწმუნებული ვარ, თავს არც „რეალში“ შეირცხვენს.

**— თქვენს თანამემამულეს შესანიშნავად იცნობთ. როგორც ფეხბურთელს, მას როგორ დაახასიათებდით?**

— ძლიერი მოთამაშეა, სამ სხვადასხვა პოზიციაზე შეუძლია თამაში — განაპირა მცველად, დაცვის ცენტრში და ცენტრალურ ნახევარმცველად ერთნაირად ძლიერია. მთავარი კი ის არის, რომ ძლიერ ფეხბურთელობას არანაკლებ მტკიცე პიროვნულ ღირსებებსაც წარმატებით უთავსებს. 21 წლის ასაკში ყველა ფეხბურთელს როდი ჩააბარებენ ამსტერდამის „აიაქსის“ კაპიტნის სამკლავურს.

**— მას შემდეგ, რაც რუმინეთიდან „აიაქსში“ სათამაშოდ წავიდა, კივუს მთხოვნელი კლუბები არ მოჰკლებია. ბოლო პერიოდში მის შესაძენად „ინტერმა“, „ბარსელონამ“ და მადრიდის „რეალმა“ ნამდვილი ომი გაუმართეს ერთმანეთს...**

— ნამდვილად არ მიკვირს, რომ ევროპული გრანდები ამ ბიჭის შეძენით დაინტერესდნენ. აბა, ვინ არ მოინდომებს თავის გუნდში კივუს ყოლას? ძნელია, იპოვო ფეხბურთელი, რომელშიც ფიზიკური ძალა და ტექნიკა ასე თანაბრად იყოს განაწილებული.

**— სერია A-დან ლა ლიგაში გადასვლა, თავიდან რაიმე პრობლემებს არ შეუქმნის?**

— არანაირი პრობლემა არ ექნება. კივუ მზად არის „რეალში“ სათამაშოდ. მისი შეძენით „რეალი“ დიდ მოგებას ნახავს.

**— აქამდე რუმინელთაგან „რეალში“ მხოლოდ თქვენ გითამაშიათ...**

— „რეალში“ ორი სეზონი ვიყავი და „სანტიაგო ბერნაბეუსთან“ შესანიშნავი მოგონებანი მაკავშირებს. საერთოდ, მიხარია, რომ კივუმ ესპანეთს მიაკითხა, რადგანაც ჩემს მეორე ესპანურ კლუბში, „ბარსელონაშიც“ ბრწყინვალედ ვგრძნობდი თავს. გულწრფელად რომ გითხრათ, კრისტიანისთვის რჩევის მიცემა ძალიან გამიჭირდა, მე ხომ ან „რეალისთვის“ უნდა მიმენიჭებინა უპირატესობა და ან „ბარსელონასთვის“.

**— თქვენ კივუს, როგორც პიროვნებასაც ჩინებულად იცნობთ...**

— იგი მართლაც კარგი ადამიანია. მოედანზე ნამდვილი ვარსკვლავია, ცხოვრებაში კი კიდევ უფრო უკეთესი.

**— კრისტიან კივუს თქვენი ძველი ნაცნობი, „ბერნარდო“ შუსტერი გაწვრთნის...**

— „რეალში“ მე და შუსტერს ერთად არ გვითამაშია, მაგრამ „ბერნარდოს“ კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ „რეალი“ მისი მწვრთნელობით არ იზარალებს. როგორც ფეხბურთელს, შუსტერს უდიდესი გამოცდილება აქვს. მან სამწვრთნელო საქმეშიც დაამტკიცა თავისი გამჭრიახობა და ვფიქრობ, „რეალის“ თავკაცობა არ უნდა გაუჭირდეს.

# ბარსელონა ახალ ხვედელიძეს ეძებს

**კრისტიან კივუს** „რეალთან“ შეთანხმების შემდეგ, „ბარსელონას“ სატრანსფერო მიზანი გაბრიელ მილიტოა, თუმც არგენტინელის ვარიანტიც რომ ჩაიშალოს, კატალონიურ გრანდს სათადარიგო შანსები აქვს. ესენი „დეპორტივოს“ ჟორჟე ანდრადე, „მანჩესტერის“ გაბრიელ ჰაინცე და „პორტუს“ პეპე არიან.

ჟორჟე ანდრადე კატალონიელებს ყოველთვის მოხწონდათ. „დეპორის“ მცველი სისწრაფითა და ფიზიკური ძალით გამოირჩევა.

ანდრადე „ბარსელონაში“ შარშანაც უნდა გადაბარგებულიყო, თუმც მაშინ ტრავმის გამო (ფეხი უშუალოდ „ბარსასთან“ მატჩში იტკინა) ეს ტრანსფერი არ შედგა.

გალისიელთა მოთამაშემ წლეულს დაამტკიცა, რომ სრულებით გამოჯანსაღდა და ძველებური ფორმაც აღიდგინა. მართალია, „დეპორტივოს“ მისი გაყიდვა არ სურს, მაგრამ, რახან კლუბი ფინანსურ კრიზისშია, იძულებულნი იქნებიან, ვაჭრობაზე დათანხმდნენ.

ჟორჟე ანდრადეს ღირებულება დაახლოებით 12 მილიონი ევროა.

გაბრიელ ჰაინცე გამოცდილი უკანახაზელია, რომელსაც სატრანსფერო ბაზარზე დიდ ყურადღებას აქცევენ. არგენტინელს ცენტრალურ მცველადაც შეუძლია თამაში და მარცხენა ფლანგზეც, რის გამოც ნებისმიერი კლუბისთვის სასურველი ფეხბურთელია. „მანჩესტერის“ თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი კი გაბრიელის გუნდიდან გაშვების მომხრე არ არის. თუმც პატაგონიელმა უკვე გადაწყვიტა — 29 წლის ჰაინცეს „იუნაიტედის“ დატოვება და ესპანურ ლა ლიგაში დაბრუნება უნდა, სადაც 1997-98 წლების სეზონში „ვალიადოლიდში“ თამაშობდა.

„ბარსელონას“ გარდა, ჰაინცეთი „ლიონია“ დაინტერესებული. ფრანგებს მისით „კამპ ნოუზე“ ახლახან გადასული ერიკ აბიდალის შეცვლა სურთ.

პეპეს სრული სახელი კი კეპლერ ლევერან ლიმა ფერეირაა. ამ ფეხბურთელმა „პორტუს“ შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა და ევროპულმა გრანდებმაც ლუზიტანებს ფულუხვი წინადადებებით მიაკითხეს. ცხადია, „პორტუ“ თავის ცენტრალურ მცველს მხოლოდ სოლიდური თანხის ფასად თუ შეელევა.

„ბარსას“ პეპესთვის ომში ძალების მოსინჯვა, სერია A-ში ახალდაბრუნებულ „იუვენტუსთან“ მოუწევს. პორტუგალიელები კი 20 მილიონ ევროს ითხოვენ...

**ლადო ხომერიკი**


გაბრიელ მილიტო


ჟორჟე ანდრადე


გაბრიელ ჰაინცე


პეპე

# ინტერი ვერონს დაიბრუნებს?

**იტალიურმა** პრესამ მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა — ხუან სებასტიან ვერონი, შესაძლოა, „ინტერში“ დაბრუნდესო. 32 წლის ნახევარმცველმა წინა სეზონი დიეგო სიმეონეს „ესტუდიანტესში“ იჯარით გაატარა. ახლახან მას „ჩელსისთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ამჟამად არგენტინის ნაკრებთან ერთად „კოპა ამერიკაზე“ მყოფი ვერონი თავისუფალი აგენტია.

„ის ფაქტი, რომ „ინტერი“ კვლავ დაინტერესებულია ჩემით, ძალიან მსიამოვნებს. ეს ნიშნავს, რომ კარგი მოგონებები აქვთ ჩემზე და ახლაც ნორმალურად ვთამაშობ“ — აღნიშნა ვერონმა.

ამბობენ, „ნერაძურის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ უკვე სთხოვა პრეზიდენტ მასიმო მორატის, ვერონი დავიმატოთო და ისიც დაჰყაბულდა. „ინტერს“ ესტებან კამბიასო, პატრიკ ვიეირა და ოლივიე დაკური კი ჰყავს, მაგრამ ისინი ხშირად ტრავმიანობენ და ისედაც, გუნდს ვერონი ნამდვილად არ აწყენდა. თან, მანჩინი და ვერონი კარგი მეგობრები არიან, მათ ერთად „სამპდორიასა“ და „ლაციოში“ უთამაშიათ.

„მანჩინისთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს, ჩვენ მეგობრები ვართ. რაც შეეხება არგენტინაში დაბრუნებას, არ ვნანობ. ეს დიდი ხნის წინ მქონდა გადაწყვეტილი და უნდა გამეკეთებინა“ — დასძინა ვერონმა.



**კოკი კანდელაკი**

# იუვემ ლამპარდი გამორიცხა
## ქალბატონს მოკლე საბანი ჰქონია

**იტალიურმა** „იუვენტუსმა“, შესაძლოა, სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობა შეწყვიტოს. სავარაუდოდ, ტურინელები კიდევ ერთ შენაძენს გააკეთებენ — გუნდს ცენტრალური მცველი სჭირდება.

ჯანი ანიელის შვილიშვილმა, „ფიატ გრუპის“ ვიცე-პრეზიდენტმა და „იუვენტუსის“ ერთ-ერთმა მფლობელმა ჯონ ელკანმა, კლუბის ახლანდელ ხელმძღვანელებს შეუთვალა — ბიუჯეტი ყურადღებით აკონტროლეთ, ზედმეტი არ დახარჯოთო.

„ლუჩანო მოჯისა და ანტონიო ჯირაუდოს სტილი ჩვენთვის მიუღებელია. ისინი ძალიან ბევრ ფულს ხარჯავდნენ. ჩვენ კი მკაცრად და ყურადღებით უნდა ვაკონტროლოთ ბიუჯეტი. სერია B-ში რთული და უსიამოვნო სეზონი გავატარეთ, რაც დიდი ფული დაგვიჯდა“ — თქვა ელკანმა.

კლაუდიო რანიერიმ კი ფრენკ ლამპარდის „იუვენტუსში“ შესაძლო გადასვლა გამორიცხა. „ჩელსის“ 29 წლის ნახევარმცველს „ბიანკონერის“ საკმაო ხანია, უკავშირებენ და რანიერისაც მასთან კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ...

„ფრენკი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ ნახევარდაცვაში უკვე კარგად ვართ დაბალანსებულნი და ამ ამპლუის მოთამაშეები აღარ გვჭირდება. როცა „ჩელსიში“ ლამპარდი ვიყიდე, ბევრი ამბობდა, მასში ამდენი ფული არ უნდა დახარჯულიყოო, თუმც ფრენკმა ჩინებულად იმუშავა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად იქცა. იგი ახლა გაცილებით ძვირი ღირს. ჩვენ კი ერთადერთი შენაძენი, რომელიც ახალ სეზონამდე გვჭირდება, ერთი კარგი ცენტრალური მცველია“ — განაცხადა რანიერიმ.

ამასობაში, „იუვენტუსმა“ და „სამპდორიამ“ წარმატებით დაასრულეს მოლაპარაკებები დანიელე გასტალდელოსა და ანტონიო მირანტეს თაობაზე — პირველი ამიერიდან გენუელთა სრულფასოვანი წევრია, მეორე კი „სამპდორიაში“ იჯარის წესით ითამაშებს. ამ ტრანსფერების სხვა დეტალები კი უცნობია.

**გიორგი კაკაბაძე**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## შოლა ამეობი

თავდამსხმელი

დაიბადა 1981 წლის 12 ოქტომბერს ლაგოსში (ნიგერია)

სიმაღლე: 1,89 მეტრი

წონა: 76 კგ

კარიერა:

1998 წლიდან — „ნიუკასლ იუნაიტედი“

(162 მატჩი, 28 გოლი)

2000-03 წლებში თამაშობდა ინგლისის

ახალგაზრდულ ნაკრებში

(20 მატჩი, 7 გოლი)






## MERCEDES ML63

გამოშვების თარიღი: 2006 წელი

სიგრძე: 4,788 მეტრი

სიგანე: 1,910 მეტრი

სიმაღლე: 1,815 მეტრი

წონა: 2 150 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 6,2

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 347 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 70 000 გირვანქა

# რეალი: მალუდა ან როზენი

**მადრიდის** „რეალი“ გარემარბს ეძებს და თვალი არიენ რობენისა და ფლორენ მალუდასთვის დაუდგამს. „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონსა და სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს ამ ორი შემტევი ნახევარმცველიდან ერთ-ერთის შეძენა აქვთ გადაწყვეტილი.

„ორივე მოგვწონს, მაგრამ ისინი ერთი და იმავე პოზიციაზე თამაშობენ. ამიტომ მხოლოდ ერთს ვიყიდით“ — თქვა კალდერონმა.

მალუდათი „რეალის“ დაინტერესება დაადასტურა „ლიონის“ პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამაც, ვინც ცოტა ხნის წინ აღნიშნა, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუშვებთ, თუ სათანადო წინადადებით მოგვმართავენო. თავად მალუდა კი დარწმუნებით ამბობს, მომავალ სეზონში „ლიონში“ აღარ ვითამაშებ, „ჩელსიში“ მინდა გადასვლაო...

**კოკი კანდელაკი**

## მიეცით როკის ფული!

**„ლაციოს“** კაპიტანი ლუჩანო ძაური დარწმუნებულია, რომ კლუბი ყველაფერს გააკეთებს ტომაზო როკის შესანარჩუნებლად. როკის კონტრაქტი 2009-ში ეწურება და „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ მის გახანგრძლივებაზე უარი თქვა. ფეხბურთელი ბოლო სამი თვის განმავლობაში დაჟინებით ითხოვს ჯამაგირის მომატებას და პრეზიდენტიც ამან გააბრაზა.

„კლუბმა უნდა გაითვალისწინოს როკის მოთხოვნა — თქვა ძაურიმ — ჩვენ უკვე დავრჩით ანჯელო პერუცისა და მასიმო ოდოს გარეშე და, კიდევ ერთი ფეხბურთელის წასვლა დაგვაზარალებს. ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ მოგვარდება“.

## რეტო დაიტოვეს

**„სამპდორიამ“** რეტო ციგლერის შეძენა დაადასტურა. შვეიცარიელი ნახევარმცველი იანვარში ითხოვეს „ტოტენჰემიდან“, ახლა კი გამოისყიდეს. ციგლერმა 15 მატჩი ითამაშა სეზონის მეორე ნახევარში და „სამპდორიას“ შეფებს თავი მოაწონა.

„აქ თავს კარგად ვგრძნობ — თქვა შვეიცარიელმა — ამ გუნდში მენდობიან და მეტი სათამაშო პრაქტიკაც მაქვს“.

ციგლერი „ტოტენჰემში“ 2004 წელს „გრასჰოპერიდან“ გადავიდა და „ჰამბურგში“ და „უიგანში“ იყო განათხოვრებული.

## შენ ის რუ არ ხარ?

**საფრანგეთის** მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტმა პიერ რეპელინიმ, გი რუს ძველი ამბავი გაუხსენა: როცა რუ ასოციაციის პრეზიდენტი თვითონ იყო (1996 წელს), „რენში“ მუშაობის უფლება არ მისცა მიშელ ლე მილინერს, 65 წელს გადაცილებული ხარ და გეკრძალებაო. რეპელინიმ ეს იმიტომ გაიხსენა, რომ გი რუ ახლა მსგავს ვითარებაში აღმოჩნდა. 68 წლის მწვრთნელმა სამი კვირის წინ „ლანსთან“ კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ ასოციაცია მუშაობის ნებას არ აძლევს — 65-ს გადაცილებულს მწვრთნელობის უფლება არ აქვს.

„თვითონ მუშაობდა აქ და კარგად უნდა ახსოვდეს მიშელ ლე მილინერის ამბავი. წესებიც ჩვენზე არანაკლებ იცის. მას მწვრთნელის ლიცენზიის გამოყენებას ვუკრძალავთ, თორემ შეუძლია, სპორტულ მენეჯერად იმუშაოს „ლანსში“ — თქვა რეპელინიმ.

## უელვას მუნიოსი მოუვლის

**„პანათინაიკოსის“** ყოფილ თავკაც ვიქტორ მუნიოსს „უელვა“ ჩააბარეს. 50 წლის ესპანელმა მარსელინო გარსია ტორალი შეცვალა, რომელიც სანტანდერის „რასინგში“ გადავიდა. ტორალის ხელში „უელვამ“ მერვე ადგილი დაიკავა. მუნიოსმა კი „პანათინაიკოსი“ შარშან ოქტომბერში ჩაიბარა და ჩემპიონატში მესამეზე გაიყვანა, საბერძნეთის თასის ფინალში კი „ლარისასთან“ დამარცხდა.

ვიქტორ მუნიოსს „ვილიარეალში“ და „სარაგოსაშიც“ უმუშავია.

## კრუზის გალა

**თურქული** მედიის ცნობით, „გალათასარაი“ როკე სანტა კრუზის ყიდვას აპირებს. სტამბოლური კლუბის გერმანელ მწვრთნელ კარლ-ჰაინც ფელდკამპს ძალიან უნდა პარაგვაელი ფორვარდის გადაბირება, რომელიც გასულ სეზონში „ბაიერნის“ სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მოლაპარაკება უკვე დაწყებულა და „გალა“ სანტა კრუზს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

### D ჯგუფი. II ტური

აშშ 6:1 პოლონეთი

ბრაზილია 3:2 სამხ. კორეა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:6 | 3 |
| სამხ. კორეა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |

### E ჯგუფი. II ტური

ჩეხეთი 2:2 ჩრდ. კორეა

პანამა 0:6 არგენტინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 6:0 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ჩრდ. კორეა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| პანამა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:6 | 1 |

## ბრაზილია

### სერია A. IX ტური

პალმეირასი — ამერიკა 2:0; ატლ. პარანენსე — ნაუტიკო 1:1; ფიგეირენსე — კრუზეირო 2:1; ფლუმინენსე — პარანა 0:0; გრემიო — ჟუვენტუდე 3:1; სან პაულუ — ინტერნასიონალი 1:0; გოიასი — ბოტაფოგო 1:1

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ფინეთი | | | | | |
| | | | 8 ივლისი | | | | | |
| 19:30 | 24 | კტპ-ტურკუ | 2.80 | 3.00 | 2.20 | 1.44 | 1.23 | 1.26 |
| 19:30 | 25 | მიუპა-ტამპერე | 2.70 | 3.20 | 2.20 | 1.46 | 1.21 | 1.30 |
| 19:30 | 26 | ვპს-ინტერი | 2.10 | 3.20 | 2.65 | 1.26 | 1.17 | 1.44 |
| | | | 9 ივლისი | | | | | |
| 20:00 | 27 | ჰაკა-ჰიკ | 2.10 | 3.10 | 2.85 | 1.25 | 1.20 | 1.48 |
| | | | ირლანდია | | | | | |
| | | | 6 ივლისი | | | | | |
| 22:45 | 35 | დერი-სლიგო | 1.80 | 3.10 | 3.70 | 1.13 | 1.21 | 1.68 |
| 22:45 | 37 | დუბლინი-დროგედა | 3.10 | 3.10 | 2.00 | 1.54 | 1.21 | 1.21 |
| 22:45 | 38 | უოტერფორდი-სტ.პატრიკსი | 3.50 | 3.20 | 1.80 | 1.67 | 1.18 | 1.15 |
| 22:30 | 39 | ლონგფორდი-შემროკი | 3.30 | 3.10 | 1.90 | 1.59 | 1.20 | 1.17 |
| | | | 9 ივლისი | | | | | |
| 22:45 | 34 | ბოჰემიანი-ბრეი | 1.55 | 3.30 | 4.80 | 1.05 | 1.17 | 1.95 |
| | | | აშშ | | | | | |
| | | | 5 ივლისი | | | | | |
| 23:45 | 47 | ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 1.95 | 3.10 | 3.30 | 1.19 | 1.22 | 1.59 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მსოფლიო ჩემპიონატი (20) კანადა | | | | | |
| | | | 5 ივლისი | | | | | |
| 23:45 | 90 | ავსტრია 20-კანადა 20 | 2.00 | 3.10 | 2.85 | 1.21 | 1.17 | 1.48 |
| 23:45 | 92 | ჩილე 20-კონგო 20 | 1.60 | 3.30 | 4.20 | 1.07 | 1.15 | 1.84 |
| | | | შვედეთი. თასი | | | | | |
| | | | 5 ივლისი | | | | | |
| 21:00 | 109 | გიოტებორგი-გეფლე | 1.65 | 3.30 | 4.00 | 1.10 | 1.16 | 1.80 |
| | | | ამერიკის თასი 2007 (ვენესუელა). 5 ივლისი | | | | | |
| 23:45 | 117 | კოლუმბია-აშშ | 2.05 | 3.20 | 2.90 | 1.24 | 1.20 | 1.52 |
| 23:45 | 118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.45 | 3.40 | 5.75 | 1.01 | 1.15 | 2.13 |
| | | | ჩოგბურთი ქალები უიმბლდონი | | | | | |
| | | | 5 ივლისი | | | | | |
| 14:00 | 141 | ვაიდიშოვა-ივანოვიჩი | 1.60 | 2.00 | | | | |
| | | | ჩოგბურთი კაცები უიმბლდონი | | | | | |
| | | | 5 ივლისი | | | | | |
| 14:00 | 134 | ბერდიხი-ბიორკმანი | 1.20 | 3.00 | | | | |
| 14:00 | 142 | ბაგდატისი-დავიდენკო | 1.35 | 2.20 | | | | |
| 14:00 | 143 | ნადალი-იუჟნი | 1.20 | 3.00 | | | | |
| 14:00 | 144 | ფედერერი-ფერერო | 1.01 | 8.00 | | | | |
| 14:00 | 145 | ხიუიტი-ჯოკოვიჩი | 1.55 | 2.00 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10117 | კოლუმბია-აშშ | 2.35 | 2.00 | 3.35 | 1.08 | 1.38 | 1.25 |
| 10118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.75 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.32 | 1.51 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11117 | კოლუმბია-აშშ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15117 | კოლუმბია-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16117 | კოლუმბია-აშშ | 1.45 | 2.45 |
| 16118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.12 | 4.60 |

### გოლი:ფეხილი-10ზე კუნტი-2 (0:0 ითვლება ფეხილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17117 | კოლუმბია-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12117 | კოლუმბია-აშშ | 1.90 | 1.55 |
| 12118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.90 | 1.55 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13117 | კოლუმბია-აშშ | 1.60 | 1.80 |
| 13118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.60 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14117 | კოლუმბია-აშშ | 1.75 | 2.10 |
| 14118 | არგენტინა-პარაგვაი | 1.20 | 2.60 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ჰოკეი

# პიტსბურგმა გამოცდილება დაიმატა



დერილ სიდორი

„პიტსბურგმა“ აქცენტი გამოცდილ მოთამაშეებზე გააკეთა და საკმაოდ სერიოზული შევსებაც მიიღო. წლეულს პლეი ოფში ხუთწლიანი შესვენების შემდეგ პირველად გასულმა „პინგვინებმა“ სტენლის თასისთვის სვლა პირველივე რაუნდში შეწყვიტეს, რაც პირველ რიგში გუნდის ლიდერთა გამოუცდელობას დაბრალდა.

სწორედ ამიტომ, პენსილვანიური გუნდის ხელმძღვანელობამ ისეთი ხალხი აიყვანა, ვისაც სტენლის თასის მოგების გამოცდილება აქვს — საუბარი თავდასხმელ პეტრ სიკორასა და უკანახაზელ დერილ სიდორზე გვაქვს. პირველს სანუკვარი ჯილდო "ნიუ ჯერსის" შემადგენლობაში მოუგია, სიდორი კი სულაც ორგზის სტენლის თასის მფლობელია — მან „დალასთან“ და „ტამპასთან“ ერთად იჩემპიონა.

ასე რომ, სიკორასა და სიდორის გამოცდილება ძალიან უნდა წაადგეთ სიდნი კროსბისა და კომპანიას.

# რაოდენობამ ხარისხი გადაწონა

**გასული სეზონის** ერთ-ერთი უმთავრესი აუტსაიდერის „ლოს ანჯელესის კინგსის“ გენერალურმა მენეჯერმა დინ ლომბარდიმ ვერც ერთი დიდი ვარსკვლავი ვერ ჩაიტყუა კალიფორნიაში — არადა, გუნდი კრის დრურის, ან სკოტ გომესის დათრევის უმთავრეს პრეტენდენტად ითვლებოდა. თუმც ორივე მათგანმა "რეინჯერსს" მიაშურა, რის გამოც ლომბარდიმ ყურადღება ნაკლები კალიბრის ვარსკვალვებს მიაპყრო და ხარისხის რაოდენობით ჩანაცვლება გადაწყვიტა.

ლომბარდიმ საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა და შეტევის გაძლიერებასთან ერთად უკანა ხაზსაც მიხედა. „მეფეებმა“ აქცენტი სლოვაკებზე გააკეთეს — კალიფორნიაში შემდეგ სამ წელიწადს გაატარებენ ცენტრი მიხალ ჰანძუში და მარცხენა ფრთა ლადისლავ ნაგი. მათ ასევე მიეხმარება კანადელი კაილ კალდერიც.

„ლოს ანჯელესის“ დაცვას კი წლეულს სტენლის თასის ფინალებში „ოტავას“ შემადგენლობაში ნათამაშები ტომ პრეისინგი და უკვე ექსკალგარელი ბრედ სტიუარტი გაამაგრებენ.

# ლამორელო ხვრელებს ავსებს

**„ნიუ ჯერსის“** გენერალური მენეჯერი თავისი ვარსკვლავების — სკოტ გომესისა და ბრაიან რაფალსკის „გაქცევის“ შემდეგ იძულებული გახდა, გუნდის შემადგენლობაში წარმოქმნილი ხვრელების სასწრაფოდ ამოვსებაზე ეზრუნა. სწორედ ამიტომ ლამორელომ კონტრაქტები გაუფორმა დარიუს ზუბრუსსა და კარელ რახუნეკს. ლიტვური წარმოშობის ზუბრუსი "ეშმაკებში" ექვსი წელი დარჩება და 24 მილიონით გამდიდრდება.

ჩეხმა მცველმა რახუნეკმა კი მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი დაიმსახურა და ამ პერიოდში 1,5 მილიონს მიიღებს.

მართალია, ვერც ზუბრუსი შეედრება გომესს და მით უმეტეს, ვერც რახუნეკი რაფალსკის, მაგრამ სულ არაფერს ისევ ასე ჯობს. თანაც ლამორელოს ხომ დიდი არჩევანი ნამდვილად არ ჰქონია.

**ძაბა ლომჯუშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამ დღეში დანახული მომავალი წავიდა, რათა თქვას და დაბრუნდეს

**გორდონ ჰერბერტის სამდღიანი ბლიცშეკრება გუშინ დასრულდა — კანადელმა სპეციალისტმა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეები ყველანაირად გამოცადა, თითოეულზე საკმარისი შთაბეჭდილება შეიქმნა და ფინეთში, თავის მეორე სამშობლოში გაემგზავრა. ამ შეკრების არსი სანაკრებო კანდიდატთა შემოწმება-შერჩევა იყო, თუმც საბოლოო, დასკვნითი შემადგენლობის დასახელებას სპეციალისტი არ ჩქარობს. ის წავა სახლში, დაფიქრდება, ყველაფერს აწონ-დაწონის და საბოლოო შემადგენლობასაც ფინეთიდან გვამცნობს. გუშინ კი, ბლიცშეკრების ბოლო ვარჯიშის შემდეგ, გორდონ ჰერბერტმა დილმის ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა...**



**— ფიქრობთ, რომ 3 დღე საკმარისი იყო ყველა მოთამაშის რეალური ძალის შესაფასებლად?**

— ეს 3 დღე სრულიად საკმარისი იყო, რათა ყველა მათგანის შესაძლებლობებში დავრწმუნებულიყავი. მე მათ ჩავუტარე ისეთი ტესტები, რომლებიც უტყუარია კალათბურთელის შესამოწმებლად. ამის გარდა, ჩემი ძირითადი მიზანი მათი სათამაშო ალღოს განსაზღვრა იყო და ამიტომაც ამ სამი დღის განმავლობაში ძირითადად სპარინგ-მატჩებს ვათამაშებდი ერთმანეთთან.

**— თუკი ეს დრო საკმარისი იყო, მაშ დაგვისახელეთ ისინი, ვინც ძირითად შემადგენლობაში იქნებიან...**

— ამას მოგვიანებით, დაახლოებით მომავალ სამშაბათს შეიტყობთ, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ არჩევანის გაკეთება მიძნელდება. მე იმ 12 მოთამაშეს დავასახელებ, რომლებიც ჩვენ A დივიზიონში გადასავლელად გამოგვადგებიან. შესაძლოა, ეს არ იყოს რეალურად ყველაზე ძლიერი 12 მოთამაშე, მაგრამ ისინი ისეთები იქნებიან, რომლებიც გუნდს სრულყოფილ სახეს მისცემენ. საუკეთესო დამცველი, საუკეთესო მსროლელი, მეფარე და ასე შემდეგ.

**— ამ შეკრების არაერთი მონაწილე საქართველოს ჩემპიონატიდან იყო. რას იტყვით მათზე?**

— როგორც ვთქვით ყველა ძალიან მონდომებულია. საქართველოში მოთამაშე რამდენიმე კალათბურთელს მე ნაკრებიდან ვიცნობ და მათ კვლავინდებურად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მათ შორის გამოვარჩევდი დავით უგრეხელიძეს, რომელიც მაღალ დონეზე ირჯებოდა. აქამდე არასდროს მინახავს ზვიად ბაბიაშვილისა და ბესო ლეჟავას თამაში, რომლებმაც თავი კარგად წარმოაჩინეს. ორივე მათგანი ძალიან მომეწონა, მათ სანაკრებო პოტენციალი ნამდვილად გააჩნიათ.

**— შეკრებაზე იყვნენ ახალგაზრდული ნაკრებს წევრებიც–**

— სამი ახალგაზრდა მომეწონა: ვაჟა მეტრეველი, რომელმაც მხოლოდ პირველი დღეს ივარჯიშა ჩვენთან, გიგი ბარბაქაძე და გიორგი მამაცაშვილი. ახლა არა, მაგრამ მომავალში ალბათ აუცილებლად გამოადგებიან ნაკრებს.

**— საბოლოო შემადგენლობას ერთ კვირაში გამოვაცხადებო, თქვით და ლეგიონერები რომ არ გინახავთ?! რვავეს აქვს ძირითადში ადგილი გარანტირებული?**

— მე ყველა მათგანის (ნაცვლიშვილი, სანიკიძე, ვოვა ბოისა, ცინცაძე, ფაჩულია, ელისი, მანუჩარ მარკოიშვილი, ცქიტიშვილი) შესაძლებლობა ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ნაკრებში ადგილი დაჯავშნული არავის არ აქვს. ყველაფერს უახლოეს დღეებში გადავწყვეტ და შემადგენლობაში იმ ხალხს შევიყვან, ვინც ღირსი იქნება.




ზვიად ბაბიაშვილი (№12)
და ვაჟა მეტრეველი

**— თქვენი უახლოესი გეგმები როგორია?**

— ერთ კვირაში შემადგენლობას გამოვაცხადებ. ანუ აღარ დაველოდები 18 ივლისის შეკრებას. 18-ში ნაკრები უკვე დაკომპლექტებული უნდა გვყავდეს, რათა რაც შეიძლება მალე დავიწყოთ გუნდის შეთამაშება. თბილისში ჩემს თანაშემწე კენ ატკისონთან ერთად 17 ივლისს დავბრუნდები და მეორე დღეს საკვალიფიკაციო მატჩებისთვის გენერალურ შეკრებას დავიწყებთ.

— ძალიან ნაყოფიერი შეკრება იყო. უკლებლივ ყველა მოთამაშე ბოლომდე იხარჯებოდა და უკმაყოფილების საფუძველი არავის მოუცია. ბიჭებმა თავიანთი მზადყოფნითა და მონდომებით იმხელა შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, ნამდვილად არ ველოდი. ელემენტარულად, არ მეგონა, თუ ასეთი გამძლეები იქნებოდნენ. ისინი ხომ მთელი სეზონი თამაშობდნენ და მაინც კარგ ფიზიკურ კონდიციებში დამხვდნენ.

**ირაკლი პერტაია**




# ჩონსის ხუთიანეები

## ბილაფსმა დეტროიტში ფესვები გაიდგა

**„დეტროიტ პისტონზის“** გამთამაშებელი და კაპიტანი ჩონსი ბილაფსი ძველ კლუბში რჩება. 30 წლის ბილაფსს კონტრაქტი ამ ზაფხულს ამოეწურა, კლუბის ხელმძღვანელობა კი მისით იმდენად კმაყოფილია, რომ უკვე გამზადებულია 5-წლიანი და 60-მილიონიანი ახალი ხელშეკრულება.

„დეტროიტში“ მისვლამდე ბილაფი ეგრედ წოდებულ „მოგზაურ“ მოთამაშედ ითვლებოდა — ხან ალთას იყო და ხან ბალთას, პირველ ოთხ სეზონში ოთხი კლუბი გამოიცვალა, მერე კი თავისი ადგილი იპოვა, ზედიზედ ხუთი სეზონი ითამაშა „დეტროიტში“ და ეს გუნდი ხუთჯერვე გავიდა სულ მცირე აღმოსავლეთის ფინალში. ამით ბილაფსმა კიდევ ერთი ხუთწლიანი კონტრაქტი გამოიმუშავა.

ჩონსი ბილაფსის და მისი გუნდის მთავარ მიღწევად 2004 წელს ფინალში გასვლა და იქ შაკილ ონილისა და კობი ბრაიანტის „ლეიკერსის“ 4:1 დამარცხება იყო. „დეტროიტი“ მესამედ გახდა ნბა-ს ჩემპიონი, ბილაფსი კი ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელდა. ერთი წლის შემდეგ ის კიდევ ერთხელ გაუძღვა „დგუშებს“ ფინალისკენ, მაგრამ დეტროიტელები უდაძაბულეს ბრძოლაში 3:4 დამარცხდნენ „სან ანტონიოსთან“.

ბოლო სეზონში ბილაფსი საშუალოდ 17,0 ქულას და 7,2 პასს იხვეჭდა.

**კოტე ყორშია**

# ფულიც მინდა და ჩემპიონობაც

**რაშარდ ლუისი** კარიერას „ორლანდო მეჯიქში“ გააგრძელებს. 27 წლის 208-სანტიმეტრიანი ფრთა ნბა-ში მოხვედრიდან, ანუ 1998 წლიდან მუდამ „სიეტლ სუპერსონიქსში“ თამაშობდა და წლეულს მორიგი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კლუბის შეფებს იმედი ჰქონდათ, რომ იქვე დარჩებოდა, მაგრამ ლუისმა გუნდის და ჰაერის გამოცვლა არჩია. მისი აგენტის თქმით, კალათბურთელთან მოლაპარაკების სურვილი 20-მა გუნდმა გამოთქვა, მაგრამ ლუისს დიდხან არ უფიქრია, წავიდა იქ, სადაც არც ფულს დაუზოგავენ და ჩემპიონობის შანსიც ექნება.




ლუისს და „ორლანდოს“ ჯერ ოფიციალური ხელშეკრულება არ გაუფორმებიათ, მაგრამ მოთამაშე დაახლოებით წლიურ 15-მილიონიან ჯამაგირზე აკეთებს გათვლას და ამბობს, რომ ბედნიერი იქნება დუაიტ ჰოვარდისთანა კალათბურთელის მხარდამხარ თამაშით. „ორლანდოში“ კი კმაყოფილები ჩანან, მათი თქმით, ამ „ახალგაზრდა ვეტერანი ვარსკვლავის“ ციდან ჩამოვარდნით, ლუისი ორგზის ოლსტარელია. წინა სეზონში ის საშუალოდ 22,4 ქულას და 6,6 მოხსნას აგროვებდა და ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშედ ითვლება თავის ამპლუაში.

ამასობაში კი „სიეტლს“ ერთი ლიდერიც აღარ შერჩა, ლუისის გაქცევამდე „ზებგერითებმა“ შეგნებულად დათმეს გუნდის საუკეთესო მექულე რეი ალენი, რომელიც „ბოსტონ სელტიქსს“ დრაფტის მეხუთე არჩევნის უფლებაში გაუცვალეს, შემდეგ კი ეს არჩევანი სწორედ ლუისის ამპლუის ახალგაზრდა მოთამაშეზე დახარჯეს.

# კარლესიმოს საქმე ნახა

შემადგენლობაგანახლებულ „სიეტლ სუპერსონიქსს“ მომავალ სეზონში მწვრთნელიც ახალი ეყოლება. კლუბი ამ დღეებში პრესკონფერენციის გამართვას გეგმავს, რათა მედიას ახალი თავკაცი ფოჯეი კარლესიმო წარუდგინოს. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა სემ პრესტიმ, რომელიც 30 წლისა გახლავთ და ნბა-ს 30 კლუბის მმართველთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა, არჩევანი კარლესიმოსა და „მინესოტას“ ყოფილ თავკაც დუეინ კეისის შორის გააკეთა.

58 წლის კასლესიმო ნბა-ში კარგად ცნობილი კაცია. ბოლო ხუთი წელი ის „სან ანტონიოში“ გრეგ პოპოვიჩის „მარჯვენა ხელად“ მუშაობდა, მანამდე კი მან სახელი დაიგდო „პორტლენდისა“ და „გოლდენ სტეიტის“ თავკაცობისას. მას დღემდე იხსენებენ, როგორც ნბა-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხულიგანი მოთამაშის ლეტრელ სპრიუელის საკბილოს. 1997 წელს „გოლდენ სტეიტში“ მუშაობისას კარლესიმომ გუნდის ლიდერ სპრიუელს თვითნებობისთვის და ვარჯიშების სისტემატიური გაცდენისთვის დასჯა დაუპირა და ხელფასი დაუქვითა, მოთამაშემ კი იმით უპასუხა, რომ ერთ-ერთ ვარჯიშზე მორიგი შელაპარაკების დროს ყელში სწვდა და დახრჩობა დაუპირა. თანაგუნდელებმა ძლივს გამოსტაცეს ხელიდან, მაშინ სპრიუელი ლიგამ 6 მილიონით დააჯარიმა და მთელი სეზონით აუკრძალა თამაში.

**კოტე ყორშია**

# ნებით გადამდგარი კაპიტანი

## გია ლაბაძეს რუსები მობეზრდა და ფრანგების ჯინი სჭირს

საქართველოს ნაკრების უგამოცდილეს და საკვანძო მორაგბეს გია ლაბაძეს ორი კვირის წინ გამართული სადებიუტო მსოფლიოს ერთა თასი საკლუბო საქმეების გამო გაუცდა. ლაბაძის „ტულონი" საფრანგეთის ჩემპიონატის პლეიოფში დამარცხდა და ვერც წელს მოახერხა ელიტ 2-დან უმთავრეს ელიტაში დაწინაურება. არადა ტულონელებმა ხმაურიანი ტრანსფერები აკეთეს, გუნდს კი ლაბაძე კაპიტნობდა. მომავალი სეზონიდან „ტულონი" სულაც მეგავარსკვლავური იქნება. კლუბის პრეზიდენტმა მუსტაფა ლარაჯამ ბლომად მილიონები გაიღო და გუნდის მწვრთნელ-მენეჯერად ახალზელანდიელი ლეგენდა ტანა უმაგა დანიშნა. მსოფლიოს თასის შემდეგ კი ტულონს გაავარსკვლავებენ ავსტრალიელები ჯორჯ გრეგანი და ტოუტაი კეფუ, აგრეთვე ახალზელანდიელი დიდი ათი ნომერი ენდრიუ მერთენსი. ასე რომ, ბოლო ათწლეულის ყველაზე სტაბილური და გამორჩეული ქართველი მორაგბე ფრანგული მეგაგუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. გია ლაბაძე ახლა თბილისშია, ერთ კვირაში კი სანაკრებო შეკრებას იწყებს. „ლაბოს" იქეთურ-აქეთურზე ვესაუბრეთ. პირველი კი უპირველეს ელიტაში „ტულონის" ვერგასვლაზე ვკითხეთ... — გუნდის უფროსობამ ძალიან განიცადა ნარუმატებლობა, გაბრაზდნენ კიდეც, მაგრამ მალევე დამშვიდდნენ და მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს



**— ისეთი ვარსკვლავები დაიმატეთ, გაისად ალბათ უპირველეს ელიტაში აუცილებლად უნდა ითამაშოთ.**

— ჩვენს პრეზიდენტ მუსტაფა ლარაჯას სხვა შედეგის გაგონებაც არ უნდა. ძალიან დიდ ფულს ხარჯავს, მეგავარსკვლავებს ყიდულობს და შესაბამის შედეგსაც დამსახურებულად ითხოვს. პიროვნულად ძალიან მეგობრული კაცია. თან ფუფუნება და თავის გამოჩენა უყვარს. 150 ათას ევროიანი საათი უკეთია, ოქროსია და ბრილიანტებით არის მორთული. ერთხელ მის კომპანიონს საათის გასწორება უნდოდა და ჰკითხა, რომელი საათიაო. იმანაც უპასუხა. კომპანიონმა კი შეუსწორა, მგონი, შენი საათი ხუთი წუთით უკანააო. გაგიჟდა კაცი — შენს ათასევროიან საათს მიხედე, ჩემი ასორმოცდაათიათასიანი საათი არასდროს ცდებაო.

**— საფრანგეთის ნაკრების მორკინალმა და „ტულონის" კაპიტანმა ჟან-ჟან კრენკამ კარიერა დაასრულა. ახლა ვიცედან კაპიტნად დაწინაურდები?**

— ასე იქნებოდა, მაგრამ კლუბის კრებაზე მე თვითონ ვთქვი კაპიტნობაზე უარი. ისევ ვიცე-კაპიტნად დავრჩები.

**— რატომ?**

— წარმოიდგინე, კლუბში გვეყოლება ახალი ზელანდიის კაპიტანი ენდრიუ მერთენსი, ავსტრალიის კაპიტანი ჯორჯ გრეგანი, ავსტრალიელივე ტოუტაი კეფუ. თავს უფლება ვერ მივეცი, ასეთი ვარსკვლავებისთვის მეყოჩა.

**— გუნდში ახლა დიდი კონკურენციაა და შენი სათამაშო დრო შეიზღუდება?**

— ჩვენი მწვრთნელი ლეგენდარული ტანა უმაგა იქნება, რომელიც ჩემი ახლო მეგობარია. ტანას უკვე ველაპარაკე და მითხრა, რომ პრობლემა არ მექნება, ოღონდ მომავალ სეზონში ხშირად იქნება როტაცია. გასული სეზონი ლამის ერთი და იგივე შემადგენლობით ვითამაშეთ და გადაღლილობამ სწორედ ბოლოსკენ, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში იჩინა თავი. ახლა ერთ ამპლუაში სამი მაღალი დონის მორაგბეა და როტაციაც გამართლებული იქნება. თანაც უკვე 34 წლის ვარ, სეზონში ოცდაათი მატჩის თამაში არც მე შემიძლია.

**— ისე, 34 წლისა როგორ ახერხებ მაღალ დონეზე სტაბილურად თამაშს. შენ ხომ იმ ერთეულებს განეკუთვნები, სეზონი რომ არ ჩაუგდიათ...**

— საამისო საიდუმლო არ მაქვს. უბრალოდ, სულით უნდა იყო სპორტსმენი. პროფესიონალი ფიზმომზადების მწვრთნელი გყავდეს და სწორად იკვებო.

**— შენი, როგორც სპორტსმენის დღე როგორია?**

— მატჩები უქმეებზე გვაქვს. ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს კი მსუბუქი ვარჯიშები. თუ ვარჯიში არაა, დილით ადრე დავრბივარ, ცოტას ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ და ვცდილობ, კალორიული საკვები მივიღო. ხუთშაბათს კი სრულფასოვანი ვარჯიშია და პარასკევის ჩათვლით ნატურალურ წვენებზე და ხილზე ვარ. რძეში გაზავებულ ათქვეფილ ხილს არაფერი სჯობია. შაბათს მატჩი გვაქვს. ნამატჩევს საუნა და ჯაკუზი შეუცვლელია, თან სამ-ოთხ კათხა ლუდს ვსვამ, კუნთებს ვადუნებ. აუზი და ზღვის წყალიც აუცილებელია, თან ძალიან მიყვარს ცურვა.

**— ტულონში ალბათ პოპულარულიც იქნები...**

— ტულონი სარაგბო ქალაქია, იქ ფეხბურთი, კალათბურთი და სპორტის სხვა სახეობები მეორე-მესამეხარისხოვანია. ქალაქი სარაგბო მატჩიდან მატჩამდე ცხოვრობს. მოთამაშეებს ხელის გულზე გვატარებენ. ქალაქშიც მცნობენ და ფოტოს გადაღებას ხშირად მთხოვენ. ავტოგრაფებზე ნადირობა კი ჩვეულებრივი ამბავია.

**— „ტულონთან" რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს?**

— სეზონის ბოლოს კონტრაქტი ორი წლით გავახანგრძლივე. ამით ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩით.

**— ათი წელია, საფრანგეთში ხარ, ალბათ იქაურობას ძალიან შეეჩვიე. საცხოვრებლად დარჩენასაც ხომ არ აპირებ?**

— არა, მგონია, მაგრამ უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში საქართველოში წამოსვლაც არ მინდა. სამი შვილი მყავს. ორი ბიჭი და გოგო. უფროსი ბიჭი იქაურ სკოლაში და რაგბიზე დადის. ოჯახი იქაურობას მართლა ძალიან შეეჩვია, თან ჩემი პატარა ბიზნესი მაქვს, სიგნალიზაციების და კერძო დაცვის ფირმა გავაკეთე და ასე უცბად ყველაფრის მიტოვება არ მინდა.

**— წლევანდელი მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულება საბოლოოდ გადაწყვიტე?**

— აღარ არის დრო?! ასაკის გამო მეტს ველარ გავქაჩავ. თვრამეტი წელია, რაგბის ვთამაშობ და მართლა ძალიან დავიღალე აქეთ-იქით სიარულით. თუ გამოუვალი მდგომარეობა იქნება, მაშინ ერთ-ორ მატჩში დავეხმარები ნაკრებს, ოღონდ ეს სისტემატურად არ მოხდება. ისიცაა, რომ უკვე მომბეზრდა რუსებთან თამაში და მოგება. ეს ხუმრობით: მსოფლიოს თასი ბოლო სანაკრებო ეტაპი იქნება ჩემს კარიერაში.

**— ნაკრებიდან ალბათ ისე წახვალ, რომ მსოფლიოს თასზე ერთ გამარჯვებას მაინც მოიპოვებ...**

— მგონი, ასე იქნება, ნამიბიას აუცილებლად უნდა მოვუგოთ, დანარჩენი მეტოქეები გრანდები არიან. საფრანგეთთან, ირლანდიასთან და არგენტინასთან უშანსოდ ვართ, მაგრამ ნერვები უნდა დავაწყვიტოთ. მე კი საფრანგეთთან მატჩს სულმოუთქმელად ველოდები. მაგათთან ჩემი ანგარიში მაქვს და საუკეთესო მატჩი სწორედ ფრანგებთად უნდა ვითამაშო.

**ბაჩო სვანიძე**

## შავები ღმერთები არ არიან

**ევროსპორტის** სარაგბო ექსპერტის ლეკ ნეილის აზრით, ახალზელანდიელთა და დამარცხებამ კარგი სამსახური გაუწია ტურნირს — „ავსტრალიამ ისინი ციდან მიწაზე დაანარცხა. „შავების" მარცხს რაგბის სამყაროში ასეთი აჟიოტაჟი არ უნდა გამოეწვია, მათ ხომ სამხრეთ აფრიკასთანაც თითქმის წააგეს მელბურნის თამაშამდე ერთი კვირით ადრე. ახლა ისინი უფრო მობილიზებულები იქნებიან მსოფლიოს თასზე და თავს ღმერთებად აღარ წარმოიდგენენ."

## ჯარმაცი ლოთე

**შაბათს** სამი ერის პირველობაზე სიდნეიში სამხრეთ აფრიკასთან გასამართ შეხვედრაში ავსტრალიელებს სამი ძირითადი მოთამაშის შეცვლა მოუხდათ. ტრავმირებული გიკლიფ პალუს და სტივენ მურის სტივენ ჰოილისი და ადამ ფრაიერი შეცვლიან, ზოლო გარემარბ ლოთე ტუკირის — მარკ ჯერარდი. პალუმ მხარი იტკინა და მსოფლიოს თასზე მისი თამაში საეჭვოა. სტივენ მურმა კი მკერდის კუნთი დაიზიანა. სავარაუდოდ, იგი მხოლოდ ერთ თამაშს გამოტოვებს.

რაც შეეხება ლოთე ტუკირის, მან სასწავლო სემინარი გამოტოვა და ამის გამო ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.



## ძმებ დიუ პლესებს რქები ამოეწვერათ

**სამხრეთაფრიკელთა** 24 წლის მესამეხაზელი იან დიუ პლესი შაბათს ნაკრების ძირითადში ითამაშებს. „ქურციკთა" დამრიგებელმა ჯეკ ვაიტმა იგი სასტარტო შემადგენლობაში ვარჯიშზე კობუს ვიზაგის ნაცვლად დააყენა. მისი უმცროსი ძმა ბისმარკ დიუ პლესი კი სათადარიგო მოთამაშეა და თავის რიგს მოთმინებით ელოდება.

**ზურაბ მიგრიაული**



ძმები დიუ პლესები: იანი და ბისმარკი



მანუჩარ კვირკველია და რამაზ ნოზაძე

# მოჩქარეს მოუგვიანდება

## ევროპის ჩემპიონები მსოფლიომდე მოიცდიან

გივი კარტოზიას სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირს საქართველოს ნაკრების ორი ყველაზე ტიტულუხვი წევრი გამოტოვებს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია და ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი რამაზ ნოზაძე „ქარიშხალას" ხალიჩაზე ტრავმების გამო ვერ გავლენ. საინტერესოა, რომ ბეგი დარჩიას გუნდის ორივე ლიდერი მათთვის ტრიუმფალურ ევროპირველობაზე დაშავდა. მას მერე კი საერთლდ აღარ უჭიდავიათ. ორ თვეში მოჭიდავეებს სეზონის მთავარი შეჯიბრი — მსოფლიოს ჩემპიონატი ელით და ნოზაძე-კვირკველიას სამიზნეც ბაქოური კვარცხლბეკია. იქამდე სატურნირო ციებ-ცხელებას აგვისტოში გაიხსენებენ, ამჯერად კი ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ოლიმპიური რეზერვების ცენტრში ემზადებიან. გუშინ დარჩიას გუნდი თბილისის ტურნირისწინა შეკრებაზე გადავიდა და გლდანის დარბაზთან ორი ლიდერიც გამოცხადდა

**მანუჩარ კვირკველია**

— მაჯა ევროპის ჩემპიონატზე ვიტკინე, ჯერ კიდევ ფინალამდე მაგრამ, საბედნიეროდ, ტურნირის კარგად ჩამთვრებაში ხელი არ შეუშლია. მის მერე კი სისტემტიურად მახსენებს თავს.

**— მკურნალობა როდის დაიწყე?**

— კარგა ხნის წინ და ახლაც ვმკურნალობ. ტკივილი კი ისევ მაწუხებს. ერთი სიტყვით, მძიმე ტრავმა არ ეთქმის, მაგრამ სარეაბილიტაციო პერიოდის ხანგრძლივობით თუ ვიმსჯელებთ, არც მსუბუქია.

**— ექიმები რას ამბობენ, რამდენ ხანში შეძლებ მაჯის სრულად დატვირთვას?**

— ხუთი ნემსი გავიკეთე. სრული კურსის ჩასამთავრებლად სამილა დამრჩა და იმედია, მერე უკეთესობასაც ვიგრძნობ. ვარჯიშით კი მაინც ვვარჯიშობ, ჩვეულებრივადაც ვიტვირთები. ოღონდ შეკვრას ვერ ვაკეთებ.

**— ნაკრების მთავარი ექიმის ზურაბ კახაბრიშვილის აზრით აჯობებს, თუ თბილისის ტურნირს გამოტოვებ. საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიიღე?**

— ახლა ჩემი ხალიჩაზე გასვლა სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული. ეს კახაბრიშვილმაც მითხრა და რომც არ ეთქვა, თავადაც ვგრძნობ. ჯობს მხოლოდ ვივარჯიშო და ვიმკურნალო, ჭიდაობას კი მერეც მოვასწრებ.

**რამაზ ნოზაძე**

— ევროპის ფინალში ნატკენი მხარი უკვე ბოლომდე მოვიშუშე. დაახლოებით ერთი თვეა, რაც დარბაზს მივუბრუნდი.

**— ტკივილიც აღარ გაწუხებს?**

— საბედნიეროდ, უკვე ყველაფერი რიგზეა.

**— ევროპის შემდეგ ხალიჩაზე არ გასულხარ...**

— ჭიდაობა ძალიან მომენატრა, მაგრამ ძალა რომ დამეტანებინა და ხალიჩაზე გავსულიყავი ალბათ სანანებელი გამიხდებოდა...

**— თბილისის ტურნირზე გამოსვლას შეძლებ?**

— რომ ავჩქარდე და დატვირთვებს სწრაფი ტემპით მოვუმატო, შეუძლებელი არაფერია, მაგრამ მწვრთნელებმა მირჩიეს, დინჯად და გეგმის მიხედვით ვიმუშაოთო თბილისის ტურნირს გამოვტოვებ. სანაკრებო შეკრებებს კი ჩვეულებრივად გავივლი და მსოფლიოს ჩემპიონატამდე ხალიჩაზე გასვლას ალბათ ერთხელ მაინც მოვასწრებ. სავარაუდოდ, აგვისტოს შუა რიცხვებში.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები ტრაპიზონი თურქეთი

# შავ ზღვაში მოჭიდავეებმა იბრწყინეს

**ტრაპიზონში** მიმდინარე შავი ზღვის ქვეყნების პირველი თამაშების გუშინდელი დღე ქართველი სპორტსმენებისთვის საკმაოდ ხვავიანი გამოდგა, რაც ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა დამსახურებაა. კლასიკური ხალიჩა ხუთი წონითი კატეგორიისთვის გაიშალა და ხუთი ჩვენებურიდან ოთხმა კვარცხლბეკზე ასვლა მოახერხა. ყველაზე უკეთ გიორგი დავითაიამ (46კგ) და პაატა ბაკურიძემ (63 კგ) იჭიდავეს — ორივემ სამ-სამი შეხვედრა მოიგეს და ჩემპიონები გახდნენ.

დავითაიამ ოქროს გზაზე რუმინელი კონსტანტინ ილიე, მოლდოველი ლუჩიტა იონი და აზერბაიჯანელი სარხან მამადოვი ჩამოიცილა. ბაკურიძემ კი მოლდოველ ბოდრონ ეუგენიუს, რუმინელ კატალინ კასარუს და აზერბაიჯანელ გუნდუზ საფაროვს აჯობა.

უმსუბუქეს წონაში, 42 კილოგრამში მოჭიდავე როინ წირქვაძე მოლდოველი ვიქტორ ჩიობანუსა და რუსი ალიულა იაფუნიაევის ძლევის შემდეგ ფინალში გავიდა, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა აზერბაიჯანელ ელდანიზ აზიზლისთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. გიორგი ღვინიაშვილმა (76კგ) კი ბრინჯაო მოიპოვა. მას შემდეგ რაც ალბანელ აურელ თანასს მოუგო, ნახევარფინალში თურქ ასლან ატემთან დამარცხდა და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გადაერთო, მასპინძლის ჯავრი კი მოლდოველ სერგეი რადუკანზე იყარა.

უმედლოდ მხოლოდ გია ჯობაძე (54კგ) დარჩა, რომელიც პირველ წრეში აზერბაიჯანელ ორხან პაშაევთან დამარცხდა.

**ოთარ მხეიძე**

ოლიმპიზმი

# დაიწყო...

**გვატემალაში** დაიწყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 119-ე სესია, სადაც მრავალ საკითხს განიხილავენ. აქვე გადაწყდება ორი უმთავრესი ამოცანაც: 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის კენჭისყრით გამოვლენა და 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამის გაფართოება.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, უკვე ცნობილი იქნება 2014 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლის ვინაობა, რომელიც წუხელ გამთენიისას გაირკვა. მანამდე რეგლამენტით გათვალისწინებული ერთსაათიანი პრეზენტაციები ჰქონდა სამივე კანდიდატ ქალაქ: სოჭს, ზალცბურგს და პიონჩანს, რომლებიც ასეთივე თანმიმდევრობით წარდგნენ სესიის წინაშე. შემდეგ შემფასებელმა კომისიამ თავისი ანგარიშებიც წარმოადგინა, რასაც წუხელ 1 საათსა და 30 წუთზე კენჭისყრის დაწყება მოჰყვა. მასში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 111 დელეგატიდან 97 მონაწილეობდა. წესისამებრ, თოთხმეტ განთესილს შორის იყვნენ თავად სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი, აგრეთვე ამ ორგანიზაციის ის წევრები, რომლებსაც კანდიდატ ქალაქებთან კავშირი აქვთ. ამას გარდა, მათ რიგებს დაემატა ხუთი დელეგატი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით გვატემალაში ვერ ჩავიდნენ და კიდევ ორი გერმანელი, რომლებსაც კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ, რადგან ზალცბურგის გამარჯვების შემთხვევაში ციგურაობასა და ბობსლეიში შეჯიბრებები კენიგზეს ტრასაზეა დაგეგმილი, რომელიც სწორედ გერმანიის ტერიტორიაზეა, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს.

ასეა თუ ისე, სესია დაიწყო...

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# პოლიციელის ოთხი ფუთი

## თედოს ყურებზე ხახვს ვერ დააჭრით

**თედო** ულუმბელაშვილი 30 წლის ზორბა თბილისელია. საპატრულო პოლიციის ოფიცერი გახლავთ და მტრისას, თუ ხელში დამნაშავე ჩაუვარდა. ისეთი ჯანიანია, რამდენიმე ბოროტმოქმედს ერთად გაკოჭავს. ერთხანს ჭიდაობით იყო გატაცებული, მაგრამ მერე დაშავდა და ამ საქმეს შეეშვა, თუმცა მერე იმდენი ივარჯიშა, რომ ახლა მთას გადააბრუნებს კაცი.

მთა არა, მაგრამ თედო ულუმბელაშვილმა ახლა ოთხი ფუთიანი გირი ბუმბულივით ასწია, ოღონდ მთავარი ისაა, თუ რით და როგორ ასწია საერთო ჯამში ეს 64 კილოგრამი. დაუჯერებელია, მაგრამ თედომ ორი 16-16-კილოგრამიანი გირი ყურებზე ჩამოიკიდა, ერთი თმებზე მიიბა და ერთიც კბილებით დაიჭირა, მერე ორძელზე გაწვა, ფეხების ტერფები საყრდენზე ჩამოდო და ამგვარად „იატაკიდან" მკლავებზე ტანი სამჯერ აზიდა. ამ ამბავს საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის წევრები, ალტერნატიული ჟიურის წარმომადგენლები და სეირის მოყვარულებიც ესწრებოდნენ. ყველაფერი ვიდეოფირზე აღიბეჭდა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ამას საგინესო წიგნში მოსახვედრად რეკორდების დაფიქსირება მოითხოვს, რისთვისაც ჩვენი პოლიციელი ამ ფუთიან გირებს შეება. „საამისოდ რამდენიმე წელიწადს ვემზადებოდი. მიზნის მისაღწევად ინტენსიური და მეთოდური ვარჯიშის ჩემეული სისტემა შევიმუშავე და რეკორდიც დავამყარე, რასაც მთელ საქართველოს და საერთოდ ყველას ვუძღვნი, ვინც მე ადამიანად და სპორტსმენად აღმზარდა" — თქვა რეკორდის დამყარებისთანავე თედო ულუმბელაშვილმა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



ვალენსიის აკვატორიაში გამარჯვებულმა „ალინგიმ“ აფრა დაუშვა და თასი აღმართა

# ერთ წამში ჩატეული ოთხი წელიწადი

## უძველესი სპორტული თასი ევროპაში დარჩა

**მსოფლიო** იახტკლუბს ძველი ფლაგმანი ჰყავს. სამშაბათს ვალენსიის წყლებში შვეიცარიელმა „ალინგიმ“ მეხუთედაც დაამარცხა ახალზელანდიური „თიმ ნიუ ზილენდი“ და სერიის 5:2 მოგებით შეინარჩუნა სანაოსნო სპორტში უძველესი და უპრესტიჟულესი ამერიკის თასი, რომელიც ოთხი წლის წინ ოკლენდში აართვა ამავე ნავს. ამგვარად, „ალინგის“ შერჩა მსოფლიოში უძლიერესი ცალანძიანი ნავის წოდება, მისმა ეკიპაჟმა და პატრონებმა კი დაამტკიცეს, რომ ამერიკის თასის პირველი ევროპული მფლობელი შემთხვევით არ უდგას სხვა მისნაირებს თავში.

„უბედნიერესი კაცი ვარ — ნაპირზე ხარობდა „ალინგის“ მფლობელი, მილიარდერი შვეიცარიელი ფარმომაგნატი ერნესტო ბერტარელი — და ეს სიხარული უფრო მძაფრია, ვიდრე 2003 წელს განცდილი. მაშინ ჩვენ ძალიან იოლად მოვიგეთ თასი, 5:0 ის ანგარიში არაა, რომელიც აგანერვიულებს და და გადაგრევს. ახლა კი სულ სხვა იყო. ჩვენ ღირსეული მეტოქე შეგვხვდა. ეს „თიმ ნიუ ზილენდი“ ბევრად უფრო მძლავრი იყო წინაზე და სანამ საბოლოოდ მოვიგებდით, ყველას ნერვები დაგვაწყდა. ეს ათი დღე ყველაზე მშფოთვარე იყო და ამ დღეებში მე პირადად უფრო ბევრი ვისწავლე, ვიდრე მანამდე. ეს იყო გაკვეთილი მთელი ცხოვრებისთვის. ახლა კი ყველაფერი უკანაა და ვამბობ, რომ ასე ბედნიერი მას შემდეგ არ ვყოფილვარ, რაც შვილები შემეძინა“.

ბერტარელი, ფინანსური იმპერიის მპყრობელი ის სქელტუჩა კაცი ბავშვებით ხარობდა და ოდნავადაც არ ცდილობდა, თავისი აღფრთოვანება დაემალა.

სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ დამარცხებულები. ახალზელანდიელებს დანით ვერ გაუხსნიდით პირს. 1995 და 2000 წლების ჩემპიონებს ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გადაუკრავთ, ისე უჩუმრად შეაცურეს თავიანთი კოხტა, მაგრამ დამარცხებული იახტა ნავსადგურში. ისინი ასე ახლოს იყვნენ წარმატებასთან, რა კარგად მისდიოდათ საქმე და 2003 წლისგან განსხვავებით, ეპიზოდებში მთლიანად დაჩაგრეს მეტოქე. მართალია, მათ პირველი გაცურვა წააგეს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ორი მოიგეს და 2:1 დაწინაურებულებმა იმაზე ოცნებაც დაიწყეს, რომ 1989 წლის შემდეგ, ანუ თასის ბოლო ექვს გათამაშებაში პირველი იქნებოდნენ, ვინც სერიას საწყისი მარცხის შემდეგ თასს მოიგებდა, მაგრამ...

ახელზელანდიელები მჭობდნენ, ქარი კი სულ სხვა მხარეს უბერავდა. გარდამტეხი აღმოჩნდა მეოთხე რეისი, რომელსაც „ნიუ ზილენდი“ წუთზე მეტითაც იგებდა, მაგრამ ეკიპაჟმა ზურგქარში შეცდომა დაუშვა, ცუდად აღმართა დიდი პირდაპირი იალქანი სპინაკერი და ძვირფასი დროის დაკარგვის შემდეგ 3:1 დაწინაურების მაგივრად, 2:2 ანგარიშიდან, თავიდან მოუხდა ყველაფრის დაწყება. შემდეგ რეისებში პრეტენდენტებს კიდევ არაერთხელ შეექმნათ პრობლემა სპინაკერთან და ეს საბოლოოდ მარცხად დაუჯდათ. უდაძაბულესი გამოვიდა მეშვიდე გაცურვა. გაჩაღდა ტაქტიკური ბრძოლები, უკან მიმავალი მეტოქისთვის „ქარის დამალვა“ და მსგავსი ეშმაკური მანევრები, რაშიც ახალზელანდიელები აშკარად ჯობნიან სისწრაფით გამორჩეულ შვეიცარიულ იახტას. ისინი ლამის ხელჩართულ ბრძოლაში გადასულ გაცურვას ერთთავად რამდენიმე მეტრით უგებდნენ ჩემპიონებს, მაგრამ ერთ ეპიზოდში ნამეტანი მოუვიდათ, ძალიან სახიფათო მანევრი შეასრულეს და არბიტრებმა ნავი ტივტივის გარშემო საჯარიმო წრის შემოვლით დასაჯეს. ნაპირზე ჭოგრიტებმომარჯვებული ათასობით ახალზელანდიელი ლამის ატირდა, მაგრამ რალას იზამდნენ, საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ „ალინგიმ“ „თიმ ნიუ ზილანდთან“ ერთად, მაგრამ მასზე 1 წამით (!) ადრე გადაკვეთა ფინაშის წარმოსახვითი ხაზი და სპორტის ისტორიაში ეს უძველესი თასი, რომელიც ფორმით აღმოსავლურ სურას უფრო წააგავს, ევროპაში დატოვა.

ამერიკის თასის შემდეგი გათამაშება 2009 წელს გაიმართება, სავარაუდოდ, ისევ ვალენსიის წყლებში, რაკი აკვატორიას ჩემპიონი ირჩევს, „ალინგი“ კი ევროპაში ძნელად იპოვის უფრო ხელსაყრელ ადგილს.

**კოტე ყორშია**



„ალინგის“ მეპატრონე ერნესტო ბერტარელი ამერიკის თასით



# იტალიელების გარეშე

**ესპანური** „სონი დიუვალის“ იტალიელმა ლიდერებმა — ჯილბერტო სიმონიმ, რიკარდო რიკომ და ლეონარდო პიეპოლიმ გუნდის წინაშე თავიანთი ვალი მშობლიურ „ჯირო დიტალიაზე“ მოიხადეს და „ტურ დე ფრანსი“ ესპანელებს მიანდეს.

მოახლოებულ „ტურზე“ „სონი დიუვალის“ სახელით არც ერთი იტალიელი არ ირბოლებს და იმის გათვალისწინებით, რომ სამივე აპენინელი ბრწყინვალე მთიელია, ესპანური ველოგუნდის სატურდეფრანსო შანსები საკმაოდ კლებულობს.



დევიდ მილარი

თუმცა, „სონი დიუვალი“ მთლად უიმედოდაც არ არის. გუნდის ლიდერი ბრიტანელი დევიდ მილარი იქნება და მას გვერდში მრავალნაცადი ესპანელი თანაშემწეები ეყოლება, რომელთაგან წლეულს მშვენიერ ფორმაში მყოფი ხუან ხოსე კობო და დავიდ კანადა უნდა გამოვყოთ. ნუ დავივიწყებთ იბან მაიოსაც. ამ ბასკს ერთი სამთო ეტაპის მოგება ნამდვილად ძალუძს და განსაკუთრებით სახიფათო პირინეებში გამართულ ეტაპებზე იქნება.

მთლიანობაში კი „სონი დიუვალის“ სატურდეფრანსო შემადგენლობა ასე გამოიყურება: დევიდ მილარი (ბრიტანეთი), დავიდ კანადა, იბან მაიო, დავიდ დე ლა ფუენტე, ხუან ხოსე კობო, იკერ კამანო, რუბენ ლობატო, ფრანსისკო ვენტოსო (ყველა — ესპანეთი) და კრისტოფ რინერო (საფრანგეთი).

# ფრანგები პელოტონის ბოლოდან

**ფრანგული** ველოგუნდის „ფრანსაიზ დე ჟუს“ წევრები ციდან ვარსკვლავებს არასოდეს წყვეტდნენ. შარშანდელ „ტურზე“ მათგან საუკეთესო მხოლოდ 63-ე იყო გენერალურ კლასიფიკაციაში, ხოლო გუნდმა მე-17 ადგილზე დაასრულა რბოლა.

დიდად უკეთეს შედეგებს არც წლეულს უნდა ველოდოთ. „ფრანსაიზ დე ჟუს“ ლიდერი ფრანგი სანდი კასარია და გუნდის დანარჩენი წევრებიდან მხოლოდ სებასტიან შავანელის გამოყოფა შეიძლება.

შვედი ტომას ლოვკვისტისა და ბელგიელი ფილიპ ჟილბერის გარდა „ფრანსაიზ დე ჟუს“ ღირსებას მხოლოდ ფრანგები დაიცავენ: კასარი, შავანელი, სებასტიან ჟოლი, რემი დი გრეგორიო, მეტიუ ლადანუ, ბენუა ვურენარი და კარლოს და კრუზი.

# ეშელონის ბრიტანული ვაგონი

**წლევანდელ** „ტურ დე ფრანსზე“ ბრიტანული ველოგუნდის „ბარლვორლდის“ დებიუტი შედგება. გუნდის სპორტული მენეჯერი კლაუდიო კორტი, ბუნებრივია, დიდ გეგმებს არ აწყობს და მცირედითაც კმაყოფილი იქნება. მცირედიში საშუალედო ფინიშებზე მიღწეული წარმატებები იგულისხმება, თორემ საერთო ჩათვლაზე აღარ არის ლაპარაკი და ძნელი წარმოსადგენია, „ბარლვორლდის“ წევრებმა რომელიმე ეტაპის მოგებაზე განაცხადონ პრეტენზია. თუმც, ასეთი კატეგორიულებიც ნუ ვიქნებით, რადგანაც კოლუმბიელი ფელიქს კარდენასისა და იტალიელი ფაბრიციო გუიდისგან კარგი გაქცევა არავის გაუკვირდება.

გუნდის ლიდერი სამხრეთაფრიკელი რობერტ ჰანტერია და კარდენასისა და გუიდის გარდა მას მხარში შემდეგი მრბოლები ამოუდგებიან: ჯამპაოლო ჩეულა, პაოლო ლონგო-ბორგინი (ორივე — იტალია), ალექსანდრ ეფიმკინი (რუსეთი), კონსტანტინ სუტსოვი (ბელარუსი), მაურისიო სოლერი (კოლუმბია) და ჯერანტ ტომასი (ბრიტანეთი).



რობერტ ჰანტერი (მარცხნივ) შარშან „ფონაკის“ სახელით დაქროდა

# შარაპოვას შიშის ვირუსი: ახლა ვინუსი



ვინუს უილიამსი

4 ივლისი

**კაცები**

**მესამე წრე**

რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — რობინ სოდერლინგი (28, შვედეთი) 6:4 6:4 6:7 4:6 7:5; ნოვაკ ჯოკოვიჩი (4, სერბეთი) — ნიკლას კიფერი (გერმანია) 7:6 6:7 6:2 7:6

**მეოთხე წრე**

ენდი როდიკი (3. აშშ) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 6:2 7:5 7:6; რიშარ გასკე (12, საფრანგეთი) — ჟო- უილფრედ ტსონგა (საფრანგეთი) 6:4 6:3 6:4;

**ქალები**

**მეოთხე წრე**

მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — ვენუს უილიამსი (23, აშშ) 6:1 6:3

**მეოთხედფინალი**

ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — სერენა უილიამსი (7, აშშ) 6:4 3:6 6:3; მარიონ ბარტოლი (18, საფრანგეთი) —მიკაელა კრიაჩეკი (31, პოლანდია) 3:6 6:3 6:2

**ამერიკელთათვის** ერთ-ერთი უდიდესი ნაციონალურ დღესასწაულზე — ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეზე უიმბლდონს შემორჩენილმა იანკებმა კინაღამ საზეიმო მარში გამართეს. ვინუს უილიამსმა და ენდი როდიკმა მართლა შექმნეს ტრიუმფალური გარემო ოკეანისგაღმელთა დელეგაციაში, მაგრამ დღის ბოლოს ჟუსტინ ენინმა მოინდომა და ოდნავ მაინც ჩაუშხამა ამერიკელებს საზეიმო განწყობა, დაამარცხა რა უმცროსი უილიამსი.

ოღონდ სანამ ჭინკა ბელგიელის ჩაუქობაზე გადავიდოდეთ, დღის მთავარ სენსაციაზე უნდა მოგახსენოთ — უიმბლდონს დაემშვიდობა ტურნირის მეორე ნომერი და სამი წლის წინანდელი ჩემპიონი მარია შარაპოვა. რუსი პრიმა უიმბლდონზე თავისი გამოსვლის ოთხი წლის განმავლობაში პირველად ემშვიდობება ლონდონს ასე ადრეული ეტაპიდან. მაშამ ხომ აქ პირველად თამაშისას იჩემპიონა, უკანასკნელი ორი წელი ნახევარფინალებში აგებდა, ახლა კი მეოთხედფინალსაც ვერ უწია. თუმც აქვე დავამატოთ, რომ რუსს უსერიოზულესი მეტოქე ჰყავდა უიმბლდონის სამგზის ჩემპიონ ვინუს უილიამსის სახით.

ამის მიუხედავად, ფავორიტად მაინც შარაპოვა ითვლებოდა — ჯერ ერთი, რუსი თითქოს კარგ ფორმაში იყო, მაშინ, როცა ამერიკელს ტურნირის დასაწყისში მაგრად გაუჭირდა. თუმც გუშინ მაშას ფავორიტობისა არაფერი ეტყობოდა, ვინუსმა კი კარიერაში ალბათ ერთ-ერთი უადვილესი გამარჯვება მოიპოვა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამერიკელს საამისოდ განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, რადგანაც რუსმა მეტოქეს მაქსიმალურად გაუადვილა ყველაფერი. ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე, როცა შარაპოვას ფავორიტთა რიცხვში ვწერდით, ვამბობდით, რომ მაშას ჩემპიონობის იმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ ჩვეულ მებრძოლ სულისკვეთებას დაიბრუნებდა. არადა, წლეულს რუსის თამაშში საპირისპირო ტენდენცია და აშკარა შიშის კომპლექსი გაჩნდა — მეტ-ნაკლებად სერიოზულ თუ გადამწყვეტ მატჩებში საერთოდ არ გამოსდის თამაში. ასე იყო წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში სერენა უილიამსთან და „როლან გაროსის" ნახევარფინალში ანა ივანოვიჩთან — მაშამ ორჯერვე სრულიად უხეიროდ ითოგნავა და უშანსოდ წააგო.

გუშინაც ასე მოხდა. შარაპოვამ მართლაც თავისით დათმო. აბა, სხვა რა ვუწუდოთ იმას, რომ რუსმა უილიამსზე ორჯერ მეტი უნებლიე და ორმაგი შეცდომა დაუშვა. შარაპოვა განსაკუთრებულად ამაზრზენი მიღებაზე იყო — მატჩში მას ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონდა, მაშინ, როცა ამერიკელს 16 ასეთი შანსი გააჩნდა.

ასეა თუ ისე, ვინუსი მეოთხედფინალშია, სადაც კიდევ ერთ რუსს, სვეტლანა კუზნეცოვას დაეტაკება.

ზემოაღნიშნული მატჩისგან განსხვავებით, ნამდვილი სანახაობა შესთავაზეს მაყურებელს ჟუსტინ ენინმა და სერენა უილიამსმა. ამ მატჩში იყო ყველაფერი, რაც ასე ალამაზებს ამ სპორტს — ნამდვილი ბრძოლა, ლამაზი კომბინაციები და ინტრიგა, რომლის გამოც მატჩის ბოლომდე გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა რთული იყო.

როგორც ერთი თვის წინ "როლან გაროსის" მეოთხედფინალში, ამჯერადაც უილიამსის ძალისმიერი თამაში უძლური აღმოჩნდა ბელგიელის მოხერხების წინააღმდეგ. კორტზე სწრაფი გადაადგილებებით, მრავალმხრივი დარტყმებითა და ტემპის ხშირი ცვლით ენინმა მაინც გატეხა ტრავმის მიუხედავად ჩვეულად მძლავრად მოთამაშე სერენა და რთული, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

საფრანგეთისგან განსხვავებით, ლონდონში სერენამ რიგ მომენტებში შეძლო ენინის ტემპიდან ამოგდება და მცირე ხნით უპირატესობის მოპოვება, რამაც ამერიკელს სეტი მოაგებინა. მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში ჭინკა ბელგიელი უცვლელი მწვრთნელის კარლოს როდრიგესის დაჟინებული მოთხოვნით უფრო აქტიურად ათამაშდა და ბადესთან ხშირად გასვლაც დაიწყო. უმცროსი უილიამსი ამისთვის უკვე სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა და ჟუსტინიც მალე 5:1 დაწინაურდა. სერენამ ერთი კიდევ გაიბრძოლა და ზედიზედ ორი გეიმი აიღო, მაგრამ ბელგიელმა თავისი მაინც გააკეთა და საკუთარ მოწოდებაზე მოამთავრა თამაში.

ნახევარფინალში ენინი ტურნირის მთავარ მოულოდნელობად ქცეულ მარიონ ბარტოლის შეხვდება. ფრანგმა გუშინ ცუდი დასაწყისის მიუხედავად, მაინც წაქცია 18 წლის მიკაელა კრაიჩეკი და საუკეთესო ოთხეულში ადგილი დაიბევა. თუმც აქ ბელგიელი, რომელიც დაჟინებით მიილტვის თავისი პირველი უიმბლდონური ტიტულისკენ, უეჭველი ფავორიტი იქნება.

კაცთა შორის გამართული მატჩებიდან კი უპირველსად რაფაელ ნადალისა და რობინ სოდერლინგის წვიმის გამო სამ დღეზე გაწელილი მარათონული მატჩი გამოვყოთ. კომედიად ქცეულ ამ დაპირისპირებაში ესპანელს საქმის მოთავება ჯერ კიდევ ორშაბათს შეეძლო, როცა მატჩ-პოინტი ჰქონდა და უკვე გამარჯვებულიც ეგონა თავი, მაგრამ სოდერლინგმა ვიდეოგამეორება მოითხოვა, რომელზეც ქულა შვედს მისცეს. სკანდინაველმა იქიდან თამაში შემოატრიალა და მომდევნო ორი სეტის მოგებით სიტუაცია გაათანაბრა. გადამწყვეტი მეხუთე პარტია კი ორ დღეზე გაიწელა და მიუხედავად იმისა, რომ სოდერლინგს თავისი შანსები ჰქონდა, მოგება მაინც ესპანელს დარჩა, რომელმაც "მხოლოდ" მეოთხე წრის საგზური გაინაღდა — აქ მალიორკელს მიხაილ იუჟნი ელის.

მესამე წრის კიდევ ერთ გადადებულ შეხვედრაში ნოვაკ ჯოკოვიჩმა იყოჩაღა და მეოთხედფინალის საგზურს ლეიტონ ჰიუიტს შეეცილება.

აი, როდიკმა და რიშარ გასკემ კი უკვე გაინაღდეს მეოთხედფინალში თამაშის უფლება და იქ ერთმანეთს დაეტაკებიან. იანკი-ბოიმ გუშინ პოლ-ანრი მატიოს მოუგო, და ზედიზედ მესამე თანამემულე დაითხოვა ლონდონიდან. გასკემ კი ჟო-ვილფრედ ტსონგა გაამწარა.

**ძაბა ლომჯაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამპრასს ბალახი მოენატრა

**ლეგენდარულმა** ამერიკელმა პიტ სამპრასმა ჟურნალისტებს მიმდინარე უიმბლდონის შესახებ თავისი შთაბეჭდილებები გაანდო. ლონდონური სლემტურნირის 7-გზის ჩემპიონმა განაცხადა, რომ დღევანდელ ჩოგბურთელებთან ჯერაც კონკურენტუნარიანი იქნებოდა.

„ამათ რომ ვუყურებ, მგონია, კიდევ შევძლებდი ბევრთან ტოლ-სწორად თამაშს. ბალახი უნიკალური საფარია, სადაც გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თანაც კიდევ შემიძლია საკუთარი მოწოდების შენარჩუნება, ეს კი აქ საკმაოდ დიდი ფაქტორია. ამიტომ ვფიქრობ, რომ დღევანდელი ჩოგბურთელების უმრავლესობის დამარცხებას შევძლებდი. სიამოვნებით ვეთამაშებოდი რომელიმე მოქმედ მეჩოგნეს".

**ძაბა ლომჯაშვილი**

# ოქსანა მესამე წრეშია

**უიმბლდონის** გოგონათა შეჯიბრში მონაწილე ოქსანა კალაშნიკოვა მესამე წრეში გავიდა. გუშინ ჩვენბურმა 6:3 6:4 მოუგო მე-9 ნომრად განთესილ მასპინძელ ნაომი კაველეის. არადა, ეს კაველეი ქალთა ტურნირშიც იღებდა მონაწილეობას და იქ, ცოტას დარჩა, მარტინა ჰინგისი არ დაამარცხა. პირველი სეტის მოგების შემდეგ კაველეი მეორეშიც წინ იყო, მაგრამ ბოლოსკენ მარტინამ იძალა და მესამე სეტში ბრიტანელს გეიმიც აღარ დაანება - 6:7 7:5 6:0.

მესამე წრეში კალაშნიკოვას მეტოქე მეექვსე ნომრად განთესილი პოლონელი ურსულა რადვანსკა იქნება, რომელმაც გუშინ 6:2 6:2 აჯობა სლოვაკ კრისტინა კუსოვას.

# წვიმის სიტყვა: უიმბლდონი შეიძლება დროში ვერ ჩაეტიოს

**უიმბლდონის** ორგანიზატორები არ გამორიცხავენ, რომ ტურნირი მისთვის განკუთვნილ ვადაში ვერ ჩაეტიოს. წვიმებმა მართლაც გვარიანად აურია გეგმები ორგანიზატორებსაც და ჩოგბურთელებსაც — უამინდობით ინგლისში ვის გააკვირვებ, მაგრამ წლეულს მაინც ნამეტანი ხდება. ხუმრობა ხომ არ არის, უკვე მიღეული ათი სათამაშო დღიდან მხოლოდ ერთმა ჩაიარა წვიმის გარეშე.

ბოლოს, როცა ტურნირი დანიშნულზე გვიან დასრულდა, 2001 წელს იყო, როცა კაცთა ფინალი გორან ივანიშევიჩსა და პატრიკ რაფტერს შორის ერთი დღით გვიან, ორშაბათს გაიმართა.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ინგლისელი სინოპტიკოსები უიმბლდონის ორგანიზატორებს დასაიმედებელს ვერაფერს ეუბნებიან და აცხადებენ, რომ ამ კვირაში გამოდარება მოსალოდნელი არ არის.

# მასტერსის თასი ლონდონში ჩატარდება

**ATP-ის** გადაწყვეტილებით, 2009 წლიდან სეზონის დაგაგვირგვინებელი მასტერსის თასი ლონდონში ჩატარდება.

მოგეხსენებათ, მასტერსის თასს წლის შემაჯამებელ ტურნირს ეძახიან, სადაც ტრადიციისამებრ სეზონის საუკეთესო რვა ჩოგბურთელი თამაშობს. უკანასკნელი წლება, ტურნირი შანხაიში იმართებოდა, 2009 წლიდან კი მინიმუმ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ლონდონში დაიდებს ბინას. თან ინგლისის დედაქალაქში გადასვლასთან ერთად მასტერსი თასი სახელსაც შეიცვლის და „ATP-ის მსოფლიო ტურის ფინალები" დაერქმევა.

ეს 4,5 მილიონიანი ტურნირი აღმოსავლეთ ლონდონში ახლად აშენებულ „$O_2$ არენაზე" ჩატარდება.

„საბედნიეროდ, ამ არენას სახურავი ექნება" — იხუმრა ATP-ის ბოსმა ეტიენ დე ვილიემ. მან იქვე დააყოლა, რომ დიდი შანსია, ტურნირი ლონდონში განსაზღვრულ ოთხ წელზე მეტხანს დარჩეს.

ATP-მ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც რამდენიმე დღის წინ WTA-მ გამოაცხადა, რომ მომავალი წლიდან ქალთა წლის შემაჯამებელი ტურნირი ყატარში ჩატარდება. აზიაში ეს ტურნირი 2011 წლამდე დარჩება, 2011-დან 2013 წლამდე კი სტამბულში გაიმართება.

# ჰაილემ დუბაი და რეკორდი დაგეგმა

## არაბები შვიდ ვარსკვლავს და მილიონს გამოდიან




**ამჟამინდელ** ყველაფერი ცვლება, ყველა ადამიანი ბერდება, მაგრამ ჰაილე გებრსელასიე ისევ ისაა, რაც დიდი ხნის წინ იყო. ბოლო 15 წლის მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სტაიერს ტანიც, გულიც და გონებაც ძველებურად აქვს მომართული დიდი გამარჯვებებისკენ და თუმცა უკვე 34 წლისაა, გზიდან გადახვევას არც პეკინის ოლიმპიადის მერე აპირებს. კითხვაზე, როდის გახლვათ პენსიაზეო, ჰაილემ შორიდან მოუარა და ჯერ 1980 წლის ოლიმპიადაზე 5 და 10-კილომეტრიანი გარბენების 39 წლის ასაკში მომგები მირუს იფტერი გაიხსენა, შემდეგ 1968 წლის ოლიმპიური მარათონის 40 წლის ასაკში გამარჯვებულ მამო ვოლდის მიადგა, ბოლოს კი პასუხიც ჩამოაყალიბა — „2012 წელს ლონდონის ოლიმპიადისთვის მე მხოლოდ 39-ის ვიქნები, ჰოდა, რატომაც არ უნდა ვცადო?"

ძნელი სათქმელია, ეს შემართება ლონდონის ოლიმპიადამდე თუ მიჰყვება თუ ვერა, მაგრამ დღესდღეობით კი დიდი ეთიოპი მართლაც გადასარევ ფორმაშია და ვეტერანობისა და სპორტული სიბერისა ჯერ რომ არაფერი ეტყობა, ეს ამ ცოტა ხნის წინ ჩეხეთში, ოსტრავაშიც დაამტკიცა, როდესაც ერთბაშად ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — ერთ საათში (ასეთი რეკორდების ათვლაც ხდება) მან 21 კილომეტრი და 285 მეტრი გაირბინა, თანაც გზად 20 კილომეტრის რეკორდიც განაახლა — 56 წუთი და 25,98 წამი.

ახლა ჰაილემ თავისი სარბენი გეოგრაფია გააფართოვა და არაბებს დასტური უთხრა დუბაის მარათონში მონაწილეობაზე. ეს მარათონი არცთუ ძნელია, მაგრამ ორგანიზატორები იმდენ ფულს დებენ შიგ, რომ პრესტაჟს თვალსა და ხელს შუა იძენს. არაბებმა ჰაილეს შეუთვალეს, ჩვენსა რომ ჩამობრძანდებით, მსოფლიოში ერთადერთ შვიდვარსკლავიან სასტუმროში „ბურჯ ალ არაბ ჰოტელში" დაგაბინავებთო. თანაც საპრიზოც გვარიანი დაუწესებიათ — 1 მილიონი დოლარი, საიდანაც 250 ათას მიიღებს კაცთა გამარჯვებული და ამდენივეს ქალთა შორის პირველი. ჰაილემაც არათუ მოწყალედ მოიღო დუბაიში ჩასვლის თანხმობა, არამედ ისიც ბრძანა, ყველამ იცით, რომ ჩემს მარადიულ მეტოქისთვის პოლ ტერგატისთვის მსოფლიოს რეკორდის ართმევაზე ფიქრში ვიძინებ და ვიღვიძებ და ახლა იმაზე ფიქრში დავიძინებ, რომ ეს რეკორდი სწორედ დუბაიში ავართვაო.

„კვლავ მაქვს ამბიცია — ამბობს გებრსელასიე — ჩემი მთავარი ამოცანაა, გავაუმჯობესო მარათონში მსოფლიოს რეკორდი. შემდეგ მინდა ოლიმპიური მარათონი მოვიგო, მაგრამ მთავარი მაინც რეკორდია. გეგმაში მქონდა, რომ ამ შემოდგომაზე ბერლინის მარათონზე ვირბენდი და რეკორდსაც იქ შევუტევდი, მაგრამ ახლა გეგმები რამდენადმე შევცვალე. ზამთარში დუბაიში გამოვალ და მერე პეკინამდე აღარ ვირბენ მარათონს, დუბაიში კი ყველაფერს გავაკეთებ, რომ პოლს რეკორდი ჩამოვართვა. ახლა ვიწყებ ვარჯიშს, რომ ფორმის პიკზე დუბაისთვის ვიყო".

პოლ ტერგატის მსოფლიოს რეკორდია 2 საათი, 4 წუთი და 55 წამი, ჰაილეს კი ყველაზე სწრაფად მარათონული დისტანცია 2006 წელს ბერლინში ურბენია 2:05.56 დროში. როგორც ხედავთ, სხვაობა არცთუ დიდია, ერთ წუთსა და ერთ წამს შეადგენს, მიუხედავად იმისა, რომ გებრსელასიეს შედეგი ყველა დროის საუკეთესოთა სიაში მხოლოდ მეხუთეა.

2007 წელი ჰაილესთვის თითქოს არცთუ წარმატებული გამოვიდა. სეზონის დასაწყისში ის ლონდონის მარათონის მოგებას გეგმავდა, მაგრამ რბენისას თავი ცუდად იგრძნო და გზიდან გადავიდა. როგორც შემდგომი სამედიცინო შემოწმებისას გაირკვა, ორგანიზმმა მტვერზე მისცა ალერგია.

„ექიმი რამდენიმე წლის წინაც მეუბნებოდა, რაღაცაზე ალერგია გაქვსო, მაგრამ ამას აქამდე არასდროს შევუწუხებივარ. იმედია, მტვერი დუბაიშიც არ შემომიტევს".

მარათონში რეკორდსმენის წოდება თავისთავად კიდევ უფრო ალამაღლებს გებრსელასიეს, რომელიც ორგზის ოლიმპიური და ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონია უფრო მოკლე დისტანციებში. ისე, მას მსოფლიოს რეკორდი 24-ჯერ აქვს დამყარებული და მართალია, ყველა სახეობა არაა ოლიმპიადებისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების პროგრამაებში შეტანილი, ჩვენ მაინც სრულად გთავაზობთ ამ დიდი და თან ასე პატარა ეთიოპიელის რეკორდების ნუსხას.

**კოტე ყორშია**

### ჰაილე გებრსელასიეს რეკორდები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 12.56,96 | 5 კმ | ენგელო, 1994 |
| 2 | 8.07,46 | 2 მილი | კერკრადე, 1995 |
| 3 | 26.43,53 | 10 კმ | ენგელო, 1995 |
| 4 | 12.44,39 | 5 კმ | ციურიხი, 1995 |
| 5 | 13.10,98 | 5 კმ (დარბაზი) | შინდელფინგენი, 1996 |
| 6 | 7.30,72 | 3 კმ (დარბაზი) | შტუტგარტი, 1996 |
| 7 | 12.59,04 | 5 კმ (დარბაზი) | სტოკჰოლმი, 1997 |
| 8 | 8.01,08 | 2 მილი | ენგელო, 1997 |
| 9 | 26.31,32 | 10 კმ | ოსლო, 1997 |
| 10 | 12.41,86 | 5 კმ | ციურიხი, 1997 |
| 11 | 7.26,14 | 3 კმ (დარბაზი) | კარლსრუე, 1998 |
| 12 | 4.52,86 | 2 კმ (დარბაზი) | ბიმინგემი, 1998 |
| 13 | 26.22,75 | 10 კმ | ენგელო, 1998 |
| 14 | 12.39,36 | 5 კმ | ჰელსინკი, 1998 |
| 15 | 12.50,38 | 5 კმ (დარბაზი) | ბირმინგემი, 1999 |
| 16 | 27.02,00 | 10 კმ | დოჰა, 2002 |
| 17 | 8.04,69 | 2 მილი (დარბაზი) | ბირმინგემი, 2003 |
| 18 | 41.22,00 | 15 კმ | ტილბურგი, 2005 |
| 19 | 44.23,00 | 10 მილი | ტილბურგი, 2005 |
| 20 | 55.48,00 | 20 კმ (სტადიონი) | ტემპი, 2006 |
| 21 | 58.55,00 | ნახევარმარათონი | ტემპი, 2006 |
| 22 | 1:11.37 | 25 კმ | ალპენ აან დენ რიჟნი, 2006 |
| 23 | 56.25,98 | 20 კმ (გზატკეცილი) | ოსტრავა, 2007 |
| 24 | 21,285 მ | ერთსაათიანი სირბილი | ოსტრავა, 2007 |



# ზოდებს მედალი სჯობსო

## ასაფა პაუელმა ოქროს ლიგას ოსაკა ანაცვალა

**მძლეოსნებს** მთელი სეზონი წინ აქვთ, მაგრამ აქედანვე ნათელია, რომ 2006 წლის საუკეთესო მძლეოსან ასაფა პაუელისთვის ეს წელი წინამორბედივით წარმატებული და ხმაურიანი ვერ იქნება. 100 მეტრი იამაიკელმა მეფემ და რეკორდსმენმა 23 ივნისს სამშობლოში ქვეყნის ჩემპიონატზე სირბილისას მარცხენა ფეხის ტრავმა გაიმიზეზა და როგორც შემდგომში გაირკვა, გვარიანადაც.

ასაფას წლევანდელი „ოქროს ლიგის" ოქროს ზოდებთან გამომშვიდობება მოუწევს. მან ოსლოში მოიგო ექვსიდან პირველი ეტაპი, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ ხვალ მეორეზე პარიზში ვერ ირბენს და იქნებ მესამე, რომაულიც გამოტოვოს. ოქროს ლიგის ოქროები კი, მოგეხსენებათ, იმას შეხვდება, ვინც კონკრეტულ დისციპლინას, მაგალითად, 100 მეტრს ექვსივე ეტაპზე მოიგებს.

პაუელს შეეძლო, ტრავმა ნემსებით მიეყუჩებინა და პარიზში ერბინა, მაგრამ მან მზერა 25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე იაპონურ ოსაკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს მიაპყრო და დაშავებული ფეხის დასვენება გადაწყვიტა. „ასაფას არ უნდა გარისკვა. წლეულს ოსაკაზე მნიშვნელოვანი არაფერია, ასე რომ, თუ დასჭირდა, ,ის მანამდე ყველაფერს გამოტოვებს" — ამბობს პაუელის წარმომადგენელი.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ ასაფა პაუელს ჯერ არ არც მსოფლიო ჩემპიტონატი მოუგია და არც ოლიმპიადა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ყველაფერი მოიგო... მისი ვარსკვლავი 2005 წელს გაბრწყინდა და 2006-ში აბდღვრიალდა.

**კოტე ყორშია**

# ვილსონმა ევროპას თავი გააცნო

**მძლეოსნობა** სპორტის ჭეშმარიტად გლობალური სახეობაა. ის ყველა კონტინენტზე შობს ვარსკვლავებს, მაგრამ მძლეოსნობისთვის უმთავრეს სარბიელად მაინც რჩება ბებერი ევროპა და ადრე თუ გვიან ყველა აქ ცდილობს, სხვებს თავისი ღონე, სისწრაფე და მოხერხებულობა დაუმტკიცოს.

ამერიკელი სამხტომელი აარიკ ვილსონი ახლა გამოდის დიდ სარბიელზე და მას სერიოზული ჯერ არაფერი მოუგია, ამას წინათ, ამერიკის შიდა ჩემპიონატი მოიგო, ახლა კი ატლანტიკის ოკეანე გადმოცურა და პატარა შვეიცარიულ ქალაქ ლუცერნში გამოსვლით დაიწო თავისი ევროპული ოდისეა. კარგად გადახტა და სოლიდური 17,42 მეტრი შედეგი აჩვენა. 17,5 მეტრის ფარგლებში გაკეთებული ნებისმიერი ნახტომი კი მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის პოტენციურ მედალს ნიშნავს.

**კოტე ყორშია**



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ზუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00